

1980 წელს მოსახლეობის აღწერის ბიურომ აღმოაჩინა, რომ აშშ სან-ფრანცისკოს პირველი ადგილი უკავია „მარტოხელა ადამიანების რაოდენობით“. ეს ნიშნავს, რომ 679000 მაცხოვრებელიდან, უმრავლესობა (53%) ცხოვრობს „არასტანდარტულ“ ოჯახში, მარტო ან უცხო ადამიანებთან, რომლებიც ნათესავებად არ ეკუთვნის. ამ მიმართებით სან-ფრანცისკომ ქვეყნის მაშტაბით წამყვანი ადგილი დაიკავა. შემდეგ მოდის სიეტლი (48%), მესამე ადგილზეა ვაშინგტონი (ოლქი) (45%), შემდეგ ოკლენდი (39%), ლოს-ანჯელესი (39) და ნიუ-იორკი - 37%. მთლიანობაში 37% ამერიკელს არა აქვს ნორმალური ოჯახი.

სან-ფრანცისკოში „არასტანდარტული“ ოჯახების დიდი რაოდენობა გაპირობებულია იმ ტენდენციებით, რომელთაც მთელ ქვეყანაზე აქვთ გავლენა:

1. განქორწინებებისა და დაშლის მნიშვნელოვანი ზრდა;
2. იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც არ ჩქარობენ ან სულაც უარს ამბობენ ქორწინებაზე;
3. დაქვრივებული მოხუცი ადამიანების რიცხვის ზრდა.

ამავე დროს სან-ფრანცისკოს ზოგიერთი თავისებურებები გვიხსნის ასეთი ოჯახების სიმრავლეს ამ ქალაქში. სან-ფრანცისკოში, სადაც დიდი ხანია ჩამოყალიბდა შემწყნარებლური დამოკიდებულება არასტანდარტული ქცევებისადმი (იხ. თავი 7), ცხოვრობს უამრავი ჰომოსექსუალისტი (დაახლოებით 100000), ანუ ქალაქის მთელი მოსახლეობის მეექვსედი.

ჰომოსექსუალისტთა თანაცხოვრება, ერთად არიან თუ ცალ-ცალკე, ალბათ არ უნდა ჩაითვალოს ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებად. მეწარმეებმა, გაითვალისწინეს რა ასეთ ვითარებაში საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნის თავისებურებები, დიდი თანხა ჩადეს კონდომინიუმების მშენებლობაში – მოსახერხებელი მარტოხელებისა და პარტნიორებთან საცხოვრებლად და არა ნორმალური ოჯახებისათვის. უძრავი ქონების გამყიდველი აგენტები მარტოხელებს სთავაზობენ: „სახლის შესაძენად სულაც არაა საჭირო გყავდეს ოჯახი“, ფინანსისტები კი მეტი ხალხით აძლევენ სესხებს მარტოხელებს და დაუოჯახებელ ადამიანებს.

გარდა ამისა, მარტოხელათა ცხოვრების წესი, როგორც ეტყობა, ხელს უწყობს ოჯახების გადაბარგებას განაპირა უბნებში. კონდომინიუმების ბუმმა გააძნელა ოჯახებისათვის კეთილმოწყობილი ბინების შეძენა.

სან - ფრანცისკოს მერმა დიანა ფეინსტეინმა 1982 წელს თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ: „თუ ჩვენ გვსურს ჩვენს ქალაქში შევინარჩუნოთ ოჯახები, მეტი ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ კეთილმოწყობილი ბინებით მათი უზრუნველყოფის საქმეში, და მივიღოთ დამატებითი ზომები მათი მოზიდვის მიზნით“.

რა მიზეზებიც არ უნდა ქონდეს სან-ფრანცისკოს „მარტოხელების ქალაქად“ გადაქცევას, გარკვეული შედეგები სახეზეა. შეიცვალა არა მხოლოდ ბინების ბაზარი, შეიცვალა რესტორნების ხასიათი, შეიქნა ახალი კულტურული ცენტრები – მარტოხელა და უოჯახო ადამიანები იკვებებიან და დროს ატარებენ უფრო გარეთ, ვიდრე სახლებში. (ჰაგერი, 1982).

არასტანდარტული ოჯახების შექმნის ტენდენციამ სხვა ასპექტითაც შეცვალა სან-ფრანცისკოს ცხოვრება. 1982 წელს ინსპექტორთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება პარტნიორის

დალუპვის შემთხვევაში მოსამსახურე ჰომოსექსუალისტებისათვის მიეცათ დამატებითი შვებულება და პარტნიორებისათვის გაითვალისწინეს სადაზღვევო პოლისების გააფება. წარსულში ეს შეღავათები მოქმედებდა მხოლოდ დაოჯახებული თანამშრომლებისათვის. ამ აქციამ ცხარე კამათი გამოიწვია – ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია და სამედიცინო დაწესებულება ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ, მაშინ, როდესაც ჰომოსექსუალისტურმა ერთობებმა და სხვა ჯგუფებმა მხარი დაუჭირეს. დადგენილება უკუაგდო ქალაქის მერმა, რომელიც ცდილობდა თავისი გადაწყვეტილება გაემართლებინა არა მორალური მიზეზებით, არამედ დადგენილების არაკანონიერი და ბუნდოვანი ხასიათით. ზოგიერთმა მიმომხილველმა ჩათვალა, რომ ამ გადაწყვეტილებით ქალაქის მერმა სასწორზე დადო საკუთარი პოლიტიკური კარიერის მომავალი.

სან-ფრანცისკოს მაგალითი გამონაკლისი უფროა, ვიდრე კანონზომიერება, მაგრამ მასში აისახა, ოჯახის ნგრევის, მთელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტენდენცია. ამ ტენდენციის უფრო ღრმა გააზრების მიზნით დავიწყეთ „ოჯახის“ ცნების ანალიზით, რომლის წევრები დაკავშირებულნი არიან ერთად ცხოვრებით. 1980 წლის აღწერის მონაცემებით ამერიკელების 97,5% ცხოვრობს ნორმალურ ოჯახებში, დანარჩენები კი სტუდენტურ საცხოვრებლებსა და სამხედრო ყაზარმებში, იხდიან სასჯელს ციხეებსა ან იმყოფებიან სხვა „სახაზინო“ დაწესებულებებში. აღწერის თანახმად „არასტანდარტულ“ და „სტანდარტულ“ ოჯახებს შორის განსხვავება ნათლადაა გამოკვეთილი. „სტანდარტული“ ოჯახი შედგება სისხლითნათესაობით ან ქორწინებით დაკავშირებული ორი ან რამდენიმე ადამიანისაგან. ყველაზე გავრცელებულია ცოლ-ქმრული წყვილი ბავშვით ან უბავშვოდ. „არასტანდარტულ“ ოჯახებად ითვლებიან მარტოხელები ან ერთად მცხოვრები ნებისმიერი სქესის რამოდენიმე არანათესავი ადამიანი.

თუმცა აშშ უმეტესობა ჯერ კიდევ ტრადიციული ოჯახებია, უკვე შეიმჩნევა ოჯახური ყოფის ახალი ფორმების განვითარება, როგორც ეტყობა, ოჯახის ინსტიტუტი განიცდის რადიკალურ ცვლილებებს.

1981 წელს იყო 73% სტანდარტული და 27% არასტანდარტული ოჯახები. მაგრამ 1970 წელს ეს ციფრები იყო 82% და 18%. ამ პერიოდში მარტოხელა მამაკაცების რიცხვი 105%-ით გაიზარდა, ქალებისა კი 60%-ით. გარდა ამისა მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობა, 1981 წელს მიაღწია 21%, 1970 წლის 10%-თან შედარებით. 1970 წლიდან ქორწინების გარეშე ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობა გაიზარდა 349%-ით და ეს გამოაგნებელი ფაქტია! მავ დროს განქორწინებული ან მიტოვებული ერთმშობლებიანი ოჯახების რაოდენობა იზრდება 111%-ით. (U.მ. ბურეაუ ოფ ტჰე ჩენსუს, 1958).

ეს დაუჯერებელი ცვლილებებია. ისინი მოწმობენ ოჯახის სტრუქტურებში, საერთოდ ინტიმური ურთიერთობის სფეროში რადიკალურ გარდაქმნებს, რასაც ადგილი აქვს ამერიკულ საზოგადოებაში. განგაში ისმის მასმედიაში; ამასწინათ ერთ – ერთმა მიმომხილველმა პიდაპირ განაცხადა: ხომ არ მოგვიწევს მომავალში თქმა – „მშვიდობით ოჯახო!“ (ხეკერი, 1982).

ამ ტენდენციებს შემდეგაც შევხებით. ჯერ კი შევეცადოთ გავერკვეთ ოჯახის სტრუქტურების განსხვავებებში და ოჯახის კვლევის ძირითად სოციოლოგიურ პრინციპებში.

განსხვავებები ოჯახის სტრუქტურებში.

მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ გამოვლენილი განმასხვავებელი თავისებურებებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ოჯახი განვსაზღვროთ როგორც – ყოფისა და შვილების აღზრდაზე პასუხისმგებლობით გაერთიანებული, ადამიანთა სისხლითნათესაურ კავშირზე,

ქორწინებაზე ან შვილად აყვანაზე დაფუძნებული ერთობა; ოჯახის წევრები ხშირად ერთად ცხოვრობენ. აშშ ოჯახის ევოლუციის ტენდენციის წინასწარი განხილვაც აჩვენებს, რომ მოყვანილი განსაზღვრება მოიცავს ოჯახური ცხოვრების განსხვავებულ წყობებს. მაგალითად, ერთმშობლიან ოჯახში დედა მუშაობს, ოჯახურ მოვალეობებს ბავშვები ასრულებენ; ორივემშობლიან ოჯახში ხშირად ერთი მიდის სამუშაოზე, მეორე კი უვლის ბავშვებს.

ამ განსხვავებების ღრმად გასააზრებლად განვიხილოთ სხვა საზოგადოებებში ოჯახური ცხოვრების სამი კლასიკური სახის გამოკვლევა: ერთი – ირლანდიური სოფლის ოჯახი, მეორე – ოჯახი წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში ტროპიკულ კუნძულებზე და მესამე – ოჯახი ისრაელის კოლექტიურ ფერმერულ მეურნეობებში.

დასავლეთ ირლანდიის გლეხური ოჯახები.

დასავლეთ ირლანდიის გლეხთა ცხოვრება შეისწავლეს ერენბურგმა და კიმბელმა (1948). მათ აღწერეს გლეხურ ოჯახებში არსებული დაწერილი და დაუწერილი საქორწინო შეთანხმებები, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ მდგომარეობას, სავარგულის ფლობას, ნათესაურ კავშირებს და ადამიანთა სოციალურ სტატუსს. “ხანდაზმულ მშობლებს ენიშნებათ პენსია მას შემდეგ, რაც გადასცემენ თავიანთ ფერმებს ვაჟიშვილს ან ქალიშვილს. ეს კეთდება ვაჟიშვილის დაქორწინების დროსაც. მშობლები თავისთვის იტოვებენ ერთ ოთახს და სამზარეულოს სარგებლობის უფლებას, მათ ყველა პროდუქტებით უზრუნველყოფენ. ეს პირობები დეტალურად განიხილება ნიშნობის პერიოდში და პატარძლის მშობლები თანხმდებიან, მათ ესმით, რომ საკითხი ეხება ფერმერთა ცხოვრების ბოლო ეტაპს. პატარძალი შესაბამის რჩევებს მიიღებს დედისაგან და მეუღლის სახლში გადასვლისთანავე ასრულებს დედამთილის მითითებებს, რომელიც ჯერ კიდევ თავს გრძნობს უფროსად, როგორც გემის კაპიტანი. თუ პატარძალმა წინააღმდეგობა გაუწია, მას დიდი უსიამოვნებები ელის” (გვ.124).

ამ შეთანხმებების საფუძველზე მეუღლე შედის ქმრის ოჯახში. ფერმა, სახლი და საოჯახო ნივთები მამიდან გადადის ვაჟიშვილზე. სანამ მამა ცოცხალია ის განაგებს მთელ ოჯახს. მაგალითად, ადგილობრივი რწმუნებული მიწის სამუშაოების მამასთან ათანხმებს, თუმცა სამუშაოს შვილები ასრულებენ. შვილების გამომუშავებულ ჯამაგირს „მოხუცები” იღებენ.

მამა ხელმძღვანელობს ოჯახური ცხოვრების სხვა მხარეებსაც. 40-45 წლის „ბიჭები” მამის ზედამხედველობის ქვეშ აშრობენ მიწის ნაკვეთებს და ყიდიან საქონელს ბაზრობებზე, ყველა გადაწყვეტილებებს მამა ლეზლობს. ერთი მამაკაცი ჩიოდა, „სანამ მამა მყავს მე ბიჭად ვითვლები” (65). მიუხედავად ასეთი ჩვილებისა ეს სისტემა კარგად იყო დამუშავებული, „ბიჭები” და „გოგონები” მშვიდად ეგუებოდნენ გლეხური ოჯახის მოთხოვნილებებს და წარმატებით ართმევდნენ თავს ვალდებულებებს. 7 წლამდე ყველა ბავშვი დედის მზრუნველობის ქვეშაა. ისინი გრძნობენ დედის სიყვარულსა და მხარდაჭერას. პირველი ზიარების შემდეგ (6-7წწ) ბიჭები და გოგონები მკაცრად იმიჯნებიან, რაც გავლენას ახდენს მათს გამოცდილებაზე. ბიჭები მამებთან და უფროს ძმებთან ერთად იწყებენ მუშაობას ფერმერში. გოგონები რჩებიან სახლებში დედებთან ან ოჯახის წევრ სხვა უფროს ქალებთან. მათ ასწავლიან საქონლის მოვლას, ბოსტანში საქმიანობას და სხვა საოჯახო საქმეებს. ახალგაზრდები ამ საქმიანობას ეწევიან უფროსების ზედამხედველობის ქვეშ.

შრომის დანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით არ იცვლება არც დაოჯახების შემდეგ. მამები დაოჯახებულ შვილებსაც „ბიჭებად” თვლის, გათხოვილები კი ჩვეულებრივ იმყოფებიან დედამთილების ზედამხედველობის ქვეშ. ქორწინებაში ასევე იგულისხმება დამოკიდებულება ოჯახის სხვა წევრებისა და ნათესავების მიმართ. „მეგობრობის” ირლანდიური ადათის

მიხედვით შვილებს აგზავნიან ნათესავების დასახმარებლად, ვთქვათ მოსავლის აღების დროს ან ოჯახურ დღესასწაულებზე. ძალზე შორეული ნათესავიც სათანადო პატივშია. „მეგობრობის“ მიღებული ტრადიციის დაცვა ქებას იმსახურებს, მოვალეობის შეუსრულებლობა გაკიცხვის ღირსია. რ-ს მახლობლად ერთი ფერმერი არ ამუშავებდა ბოსტანს; სიმამრი იძულებული იყო მუდმივად მოემარაგებინა თავისი ქალიშვილი კარტოფილით; ბოლოს და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს მეუღლის გაბრაზებულმა ნათესავებმა კარგად მიბეგვეს სიძე მისსავე სახლში (გვ.77).

ტრობრიანდული კუნძულების მკვიდრნი.

სოციოლოგები ხშირად ამჩნევენ, რომ ქცევა, რომელიც გასაკიცხად ითვლება ერთ კულტურაში, სხვა კულტურებში ზოგადმისაღებაა. ირლანდიელი ფერმერები გაოგნდებიან, როდესაც გაიგებენ, რომ ტრობრიანდული კუნძულების ახალი გვინეის მკვიდრნი მხარდაჭერას ჩვეულებრივ მოელიან სწორედ მეუღლის ნათესავების მხრიდან. ტრობრიანდულ საზოგადოებაში მამაკაცებს ჩვეულებრივ ცოლად მოყავთ თავიანთი მამის დის შვილი. ახლდაქორწინებულები ცხოვრობენ ქმრის დასახლებაში, მაგრამ ნათესაურ კავშირს ძირითადად ინარჩუნებენ ქალის სანთესაოს მხრიდან. ყოველი ოჯახი დიდ დახმარებას ღებულობს ცოლიმის მხრიდან. მამა დიდ დახმარებას უწევს თავისი დის ოჯახს და დარწმუნებულია, რომ სიმდიდრე ძირითადად შეხვდება დის ქალიშვილს, რომელიც ცოლად მისსავე შვილს გაყვება. ამ გზით, როგორც მალინოვსკი (1929) გვიხსნის მამის სიმდიდრე ბოლოს და ბოლოს მისივე შვილის ხელში აღმოჩნდება. ეს ადათი იმის გარანტიაც არის, რომ სიბერეში მამას შეიძლება ქონდეს შვილისა და მისი მეუღლის მხარდაჭერის იმედი.

ირლანდიელი ფერმერისაგან განსხვავებით, რომელიც მთელი სიცოცხლე ხელმძღვანელობს საკუთარ შვილებს, ტრობრიანდელი მამაკაცი არ აკონტროლებს საკუთარ შვილებს. მათი აღზრდით დაკავებულია ბიძა დედის მხრიდან, მასვე ქონდა უფლება მოეთხოვა დახმარება მათგან. თუმცა მამები მაინც ღებულობენ მონაწილეობას შვილების ცხოვრებაში. ისინი უვლიან ჩვილ ბავშვებს, აჭმევენ, ბანენ, ასეირნებდნენ, ბავშვები ხშირად უახლოვდებოდნენ თავიანთ მამებს, თუმცა სისხლითნათესაურ კავშირს ვერ გრძნობენ, თვლიან რომ ეს კაცი არის მათი დედის მეუღლე.

კუნძულის მკვიდრთ ღრმად სჯერათ, რომ ქმარი ბიოლოგიურად არ არის დაკავშირებული თავისი მეუღლის შვილებთან. მათი რწმენით დაორსულებას ერთი მიზეზი აქვს: გათხოვილი ქალის სული-ნათესავი ამკვიდრებს მის სხეულში ჩვილის-სულს. კენკელი (1971) შემდეგნაირად ხსნის ამას: „კუნძულის მკვიდრნი ურთიერთობენ უცხოელებთან და მათ იციან „მისიონერების ბოდვები“ იმის შესახებ, რომ ჩასახვა ხდება ქალისა და კაცის სქესობრივი კავშირის შედეგად და მამაკაცი დიდ როლს ასრულებს გვარის გაგრძელებაში. მათ ეს „თეორია“ სავსებით უაზროდ მიაჩნიათ. მათ მოყავთ სავსებით დამაჯერებელი, მაგრამ ლოგიკურად დაუმტკიცებელი არგუმენტები ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქმარი წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში არ ყოფილა სახლში, მაგრამ დაბრუნებულს ახლადშობილი ბავშვი დახვედრია. მეუღლის ღალატში დადანაშაულების ნაცვლად, რაც კუნძულზე დიდ დანაშაულად ითვლება, ქმარი ნამდვილად გახარებულია, რომ მისი არყოფნის დროს ოჯახს ღმერთის სული ეწვია. ამ ვითარებას ერთი მამაკაცი იმის უცილობელ არგუმენტად მიიჩნევდა, რომ ბავშვის დაბადებაში სქესობრივი კავშირი არაფერ შუაშია!“ (გვ.85).

კიბუციზმი ისრაელში.

ისრაელის კოლექტიურ მეურნეობებში მცხოვრებთა შორის გავრცელებული ოჯახის (კიბუცი) სტრუქტურა არსებითად განსხვავდება იმ ოჯახების სტრუქტურებისაგან, რომლებზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. კიბუციზმი ეფუძნება რწმენას, რომ ნამდვილი სოციალიზმის მისაღწევად აუცილებელია კერძო საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების, კერძოდ ნუკლეარული ოჯახის სრული განადგურება. ამგვარად, კიბუციების შექმნა არის სოციალური ექსპერიმენტი, სადაც სხვათა გვერდით ადგილი აქვს ნუკლეარული ოჯახის გავლენის შემცირების მცდელობას.

კაცები და ქალები შრომობენ კიბუცის სასიკეთოთ და ამისათვის ღებულობენ საცხოვრებელს, საკვებს, ტანსაცმელს, სოციალურ მომსახურებას და დახმარებას ბავშვების აღზრდაში. თუმცა დასვენების დღეებში ან არდადეგების დროს ბავშვები ხვდებიან მშობლებს, დაძმებს, მათ აღზრდას კიბუციები წარმართავენ. მათზე ზრუნავს აღმზრდელები და მასწავლებლები, რომელთაც კიბუცი ნიშნავს. გარდა ამისა ბავშვები მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ემოციურად მხარს უჭერენ ერთმანეთს. „ადრინდელი ასაკიდან მათ აჩვენებენ ერთმანეთთან დამოუკიდებელ ურთიერთობას თუ უფროსების მხრიდან ზედამხედველობა სუსტია ან სულაც არ არსებობს. თუ ბავშვს ღამით შეეშინდა ან გახდა ავად, მასზე სხვა ბავშვები ზრუნავენ – ესაუბრებიან მას, ამლევენ წყალს, ბოლოს და ბოლოს ისიც წყნარდება. ძალიან მალე ბავშვი გადაეჩვევა ღამლამობით გამოღვიძებას, სხვა ბავშვებთან თავს უსაფრთხოდ გრძნობს“ (შლესინგერი, 1972, გვ.308).

შეიძლება კიბუციებში ცხოვრება არც ისე იდეალურია, მაგრამ კოლექტივში ბავშვი ემოციურად უფრო დაცულია ვიდრე ნუკლეარულ ოჯახებში. გარდა ამისა, კიბუციებში ბავშვები და მათი მშობლები უფრო არიან მატერიალურად უზრუნველყოფილი, რადგან აქ მათი ძირითადი მოთხოვნილებები სავსებით დაკმაყოფილებულია. კიბუცის ხანდაზმულები ასევე უზრუნველყოფილი არიან. სიბერეში შრომითი საქმიანობა წახალისებულია, ავადმყოფობისა და შეუძლოდ ყოფნის დროს უზრუნველყოფილია მატერიალურად და სამედიცინო დახმარებით.

რადგანაც კიბუციები თავის თავზე იღებენ ოჯახის ფუნქციებს ქორწინება ნაკლებმიზიდველი ხდება. მაგრამ კიბუცის უფროსი წევრები თვლიან, რომ ეს არის ინტიმური ცხოვრების მოწესრიგების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამის საფუძველზე რეგულირდება სქესობრივი ურთიერთობები, და რა თქმა უნდა, ქორწინების წყალობით იბადებიან ბავშვები, რომლებსაც დიდი ადგილი უკავიათ კიბუციების ცხოვრებაში. არცაა გასაკვირი, რომ ოცი წლის შემდეგ ისინი ქორწინდებიან, მალევე აჩენენ ბავშვებს და დიდხანს ცხოვრობენ ერთად. ღალატი და განქორწინება იშვიათობაა. მშობლები ბავშვების მიმართ სინაზეს ავლენენ, მათგანაც იგივეს იღებენ. როგორც შლესინგერი (1972) აღნიშნავს, კიბუციებში თითქმის ყველაფერი საერთოდ ითვლება, მაგრამ განსაკუთრებულ პატივშია პირადი დამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის.

თუმცა შეიძლება კიბუციებში ცხოვრება იდეალურად მოგეჩვენოს, ბევრი ტოვებს მას და ცდილობს მოძებნოს საკუთარი ადგილი გარე სამყაროში. კიბუციზმის ადრინდელ ეტაპებზე საუნივერსიტეტო განათლება და კერძომესაკუთრული შემოსავალი არ იყო იმდენად მიმზიდველი. ამ ტენდენციის დასაძლევად კიბუციებში დამატებით გააუმჯობესეს პირობები და უფრო ითვალისწინებენ ადამიანთა პიროვნულ სურვილებს. მაგალითად, თუმც ბავშვების ცენტრალიზებული აღზრდა ჯერ კიდევ ითვლება ნორმად, რამოდენიმე ჯგუფმა პარლამენტზე ზეწოლით განახორციელეს ზომები, რომლებმაც უფრო აქტიურად ჩართო მშობლები შვილების აღზრდის საქმეში.

ოჯახური სტრუქტურის ზომები.

როდესაც უკვე გვაქვს წარმოდგენა ირლანდიის სოფლის, ტრობრიანდული კუნძულისა და ისრაელის კიბუცების ოჯახურ ცხოვრებაზე, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ოჯახური ცხოვრების სამ სტრუქტურაზე. მაგრამ სოციოლოგებმა და ანთროპოლოგებმა შემოიღეს რამდენიმე პარამეტრი, რომლებზე დაყრდნობით შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ ოჯახის განსხვავებული სტრუქტურები. ეს მოგვცემს განზოგადებული დასკვნების შესაძლებლობას. ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ექვს პარამეტრს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვამღებს წარმოდგენას განსხვავებული ოჯახური სტრუქტურების სიხშირეზე. (ცხრილი 13.1).

ოჯახის ფორმა.

ტერმინი „ნათესაობა“ ნიშნავს ზოგიერთ ფაქტორებზე დაფუძნებული სოციალური ურთიერთობების ერთობლიობას. მათ მიეკუთვნება ბიოლოგიური კავშირები, ქორწინება და სამართლებრივი ნორმები, შვილებასთან დაკავშირებული წესები, მეურვეობა და ა.შ.ნათესაური ურთიერთობების ზოგად სისტემაში არსებობს ოჯახური სტრუქტურის ორი ძირითადი ტიპი.

ნუკლეარული ოჯახი – შედგება ზრდასრული მშობლებისა და შვილებისაგან, რომლებიც მათზეა დამოკიდებული. ბევრ ამერიკელს ოჯახის ეს ტიპი ბუნებრივად მიაჩნია.

გაფართოებული ოჯახი – (პირველისაგან განსხვავებით) გულისხმობს ნუკლეარულ ოჯახს დამატებული ნათესავები (ბებია და ბაბუა, შველიშვილები, ბიძა, ბიცოლა, ბიძაშვილები და ა.შ.) საზოგადოებების უმრავლესობაში ნუკლეარული ოჯახი ითვლება მნიშვნელოვან, შეიძლება ძირითად სოციალურ გაერთიანებად. მაგრამ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავება გაფართოებული ოჯახის, როგორც სოციალური ურთიერთობების განვითარებისა და ურთიერთმხარდაჭერის გარანტის როლის შეფასებაში.

ქორწინების ფორმა

ირლანდიელ გლეხებს, ტრობრიანდულ კუნძულებსა და ისრაელის კიბუცებში გვქონდა ქორწინების ერთი ძირითადი ფორმა. საუბარი ეხება მონოგამიას - ქორწინებას ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის. მაგრამ გვაქვს ცნობები რამდენიმე სხვა ფორმების არსებობის შესახებ. პოლიგამია ეწოდება ერთ და რამდენიმე სხვა ინდივიდს შორის ქორწინებას. ქორწინებას ერთ მამაკაცსა და რამდენიმე ქალს შორის ეწოდება - პოლიგინია; ერთ ქალსა და რამდენიმე მამაკაცს შორის –პოლიანდრია. კიდევ ერთი ფორმაა ჯგუფური ქორწინება – რამდენიმე მამაკაცი და რამდენიმე ქალი.

ალბათ გაგიკვირდებათ როდესაც გაიგებთ, რომ საზოგადოებების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს პოლიგინიას. ჯორჯ მერდოკმა (1949) გამოიკვლია მრავალი საზოგადოება და დაადგინა, რომ მათგან 145-ში გაბატონებული იყო პოლიგინია, 40-ში უპირატესობას ანიჭებდნენ მონოგამიას და მხოლოდ ორში შეამჩნია პოლიანდრია. დანარჩენი საზოგადოებები არც ერთ ამათგანს არ შეესაბამებოდნენ. რადგან უმრავლეს საზოგადოებებში ქალებისა და კაცების შეფარდება დაახლოებით არის 1-1 თან, პოლიგინია ფართოდ ვერ ვრცელდება, იმ საზოგადოებებშიც კი სადაც მას უპირატესობას ანიჭებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უცოლო მამაკაცთა რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა, ვიდრე რამდენიმე ცოლიან მამაკაცთა რაოდენობა.

რა ფაქტორები განაპირობებენ ქორწინების რომელიმე ფორმის უპირატესობას? ზოგიერთი მეცნიერები განსაზღვრულ საზოგადოებებში აღნიშნავენ ეკონომიკურ ფაქტორს. მაგალითად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ციმბირის მეორე ჩუქჩებს შორის პოლიგინია გავრცელებულია იმ აუცილებლობით, რომ ირმების ყოველ ჯოგს სჭირდება მწყემსი. ითვლება, რომ რამდენიმე ჯოგის მწყემს მამაკაცს უნდა ყავდეს რამდენიმე ცოლი. კიდევ ერთი მაგალითი. ტიბეტში, ოჯახის საკუთრება მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით გადაეცემა ყველა ვაჟიშვილს ერთად. მიწის ნაკვეთი არ ნაწილდება, რადგან სიმცირის გამო ის ვერ გამოკვებავს ცალ-ცალკე ვერცერთს, ამიტომ ძმები ერთად ამუშავენ ამ მიწას და ყავთ საერთო მეუღლე (კენკელი, 1977).

13 – 1. ოჯახური სტრუქტურები სხვადასხვა საზოგადოებებში.

სტრუქტურული პარამეტრები	საზ. სადაც უპირატესობა ანიჭებდნენ ამ წესებს.
<b>ოჯახის ფორმა</b>	
ნუკლეარული	47
გაფართოებული	92*
<b>ქორწინების ფორმა</b>	
მონოგამია	40
პოლიგინია	145
პოლიანდრია	2
<b>სასურველი პარტნიორი</b>	
ეგზოგამია	70
ენდოგამია	33
<b>საცხოვრებელი ადგილის შერჩევა</b>	
მატრილოკალური	24
პატრილოკალური	101
ნეოლოკალური	13
<b>გვარისა და ქონების მემკვიდრეობა</b>	
ქალის ხაზით	23
კაცის ხაზით	61
ორივე ხაზით	2
*ეს განზოგადება განსხვავებულია ყოველი კატეგორიისათვის, რადგან ანსხვავებულია მათი მიღების შესაძლებლობები.	
წყარო: G.P.Murdock. Social Structure, 1974.	

რა თქმა უნდა, ეკონომიკური ფაქტორები მხოლოდ ნაწილობრივ მოფენენ ნათელს ამა თუ იმ ოჯახის თავისებურებებს. მნიშვნელოვან როლს აქ სხვა ფაქტორები ასრულებენ. მაგალითად, პოლიგინია აწყობს იმ საზოგადოებების ქალებს სადაც ბევრი მამაკაცი ომში იხოცება. ანალოგიურად, სამხრეთ ინდოეთის ტოდასების ტომის წევრებს (ამ ტომში ქალთა რიცხვი ცოტაა, რადგან ადათის მიხედვით ახლადდაბადებულ გოგოებს ხოცავდნენ) აწყობთ ძმური

პოლიანდრია (ძმებს საერთო ცოლი ყავდათ). ბრიტანელმა კოლონიზატორებმა წერტილი დაუსვეს ბავშვების ხოცვის ადათებს და ტოდასებში ქალთა რიცხვმა სწრაფად დაიწყო მატება. მაგრამ აქ მაინც ვერ დამკვიდრდა წყვილთა ქორწინება. ნაცვლად ამისა ძმებმა, რომელთაც ადრე ერთი ცოლი ყავდათ, ახლა ყველას ცოლი საერთო გახდა. ამგვარად, ტოდასებში შეინიშნება ჯგუფური ქორწინების ტენდენცია, თავისთავად ძალზე იშვიათი.

ძალაუფლებრივი სტრუქტურის ტიპები.

ოჯახური სისტემების ის უმრავლესობა სადაც გაფართოებული ოჯახები ნორმად ითვლება (მაგალითად, ირლანდიელ გლეხთა ოჯახები) პატრიარქალურია. ეს ტერმინი ნიშნავს მამაკაცის ძალაუფლების ზეობას ოჯახის სხვა წევრებზე. ძალაუფლების ასეთი სისტემა მიღებულია და ხშირად დაკანონებულიცაა ტაილანდში, იაპონიაში, გერმანიაში, ირანში, ბრაზილიაში და ბევრ სხვა ქვეყნებში. მატრიარქალურ ოჯახურ სისტემებში ძალაუფლებას დედა და მეუღლე ფლობს. ასეთი სისტემები იშვიათად გვხვდება. ტრობრიანდულ კუნძულებზეც კი, სადაც მემკვიდრეობა დედის ხაზით გადადის, ცოლებს არა აქვთ უფლებები საკუთარ ქმრებზე. ხშირად პატრიარქალური საზოგადოების ბევრ ოჯახებში ქალი იძენს არაფორმალურ ძალაუფლებას, თუმცა ეს არ არის ნორმა.

უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს პატრიარქალურიდან ეგალიტარულ საოჯახო სისტემაზე გადასვლას. ეს ძირითადად იმითაა გაპირობებული, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა მოსამსახურე ქალთა რიცხვი. ასეთ სისტემაში გავლენა და ძალაუფლება თითქმის თანაბრად ნაწილდება ქალსა და მამაკაცს შორის.

უპირატესი პარტნიორი.

წესები, რომლებიც არეგულირებენ გარკვეულ ჯგუფებს გარეთ (მაგალითად, ოჯახებსა და კლანებს გარეთ) ეგზოგამიის წესებია. მათ გვერდით არსებობს ენდოგამიის წესები, რომლებიც არეგულირებენ ქორწინებას გარკვეულ ჯგუფებს შიგნით. ენდოგამია ახასიათებდა ინდოეთში ჩამოყალიბებულ კასტურ სისტემას. ენდოგამიის ყველაზე ცნობილი წესია სისხლის აღრევის აკრძალვა (ინცესტი), რომელიც გამორიცხავს ქორწინებას ან სქესობრივ კავშირებს სისხლითნათესავებს შორის, რომლებიც ახლობლებად ითვლებიან. თითქმის ყველა საზოგადოებაში ეს ეხება შვილსა და მშობელს, დასა და ძმას. ბევრ საზოგადოებაში ეს ეხება ბიძაშვილებსაც და სხვა ახლო ნათესავებსაც. სისხლის აღრევის აკრძალვა, მიუხედავად მისი ფართო გავრცელებისა, არ არის საყოველთაო წესი. დასა და ძმას შორის ქორწინება ნებადართული იყო ძველი ეგვიპტის ფარაონების ოჯახებში.

რატომ არის ინცესტი ასე ფართოდ გავრცელებული? ეს თემა ცხარე კამათის ობიექტია. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ადამიანს საერთოდ ახასიათებს ზიზღი სისხლის აღრევის მიმართ. სხვებს მიაჩნიათ, რომ ადამიანები აცნობიერებენ ინცესტის გენეტიკური შედეგების საშიშროებას. მესამენი ხაზს უსვამენ, რომ ოჯახის არადაქორწინებულ წევრებს შორის სქესობრივი კავშირები ამცირებს ოჯახის წევრებს შორის ეჭვისა და კონფლიქტების ალბათობას. მაგრამ ეს აზრი ნაკლებადაა დასაჯერებელი თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანს შეუძლია ყოველგვარი ეჭვისა და კონფლიქტის გარეშე გაიყოს სექსუალური პარტნიორი ვინმესთან, და პოლიგინია, რომელიც ხშირად იწვევს ქიშპობას ცოლებს შორის, შენარჩუნებულია მიუხედავად კონფლიქტებისა. ამას გარდა, ინცესტი აიძულებს ადამიანს ეძიოს ცხოვრების თანამგზავრი ან სქესობრივი პარტნიორი იმ ჯგუფს გარეთ, რომელსაც თავად ეკუთვნის. მაგრამ, არცერთ მოყვანილ თვალსაზრისს არ გააჩნია რაიმე უპირატესობა მეორესთან შედარებით და ამ საკითხის განხილვა ალბათ გაგრძელდება (სტეფანსი, 1967).



დასავლეთის ქვეყნებში ენდოგამია შეზღუდული სახით არსებობს რასობრივი ჯგუფების შიგნით (მაგალითად, ამერიკელ ზანგებში), რელიგიურ ჯგუფებში (მაგალითად, იუდაისტებში) და სოციალურ კლასებში (მაგალითად, ინგლისის არისტოკრატიული წარმომავლობის ჯგუფებში). ზოგიერთ წინასამრეწველო საზოგადოებებში აკრძალულია ქორწინება სხვა ტომის წევრებთან. ტომობრივი ენდოგამია თვით ტომს აძლევს სტაბილურობის დამატებით შანსს, რადგანაც არ კარგავს თავის წევრებს და არც სხვა წევრებით იზრდება. მაგრამ, ამავე დროს, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს „უცხოხადმი“ ზიზღის ზრდას, რომლის ადათები და წესები უცნობია. ზოგიერთ საზოგადოებებში ეგზოგამიისა და ენდოგამიის წესები საკმაოდ ზღუდავენ ახალგაზრდობას. როგორც ზემოთ ვნახეთ, ტრობრიანდული კუნძულის მამაკაცებმა ცოლად უნდა შეირთონ მხოლოდ მამის დის შვილი. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდის არჩევანი შეძლებულია ერთი ან ორი ვარიანტით. ასეთი სისტემა ძალზე ზღუდავს მამაკაცისა და ქალის პოტენციური პარტნიორების რიცხვს.

საცხოვრებელი ადგილის შერჩევის წესი.

საზოგადოებებში ახალგაქორწინებულთა მიერ საცხოვრებელი ადგილის შერჩევის განსხვავებული წესები არსებობს. აშშ მათი უმრავლესობა ნეოლოკალურ ადგილსაცხოვრებელს ირჩევს – ეს ნიშნავს, რომ ისინი ცხოვრებენ მშობლებისაგან ცალკე. საზოგადოებებში სადაც ნორმაა პატრილოკალური ადგილსაცხოვრებელი, პატარძალი საცხოვრებლად გადადის თავისი მეუღლის მშობლებთან ან იქვე ახლო. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ირლანდიელ გლეხებში ადათ-წესების მიხედვით ახლადგათხოვილი შედის მეუღლის ოჯახში და აღმოჩნდება დედამთილის ძალაუფლების ქვეშ. საზოგადოებებში სადაც ნორმაა მატრილოკალური ადგილსაცხოვრებელი, ახალდაქორწინებულები გადადიან პატარძლის მშობლებთან ან იქვე ახლოს.

ნეოლოკალური ადგილსაცხოვრებელი, რაც ნორმად ითვლება დასავლეთში, იშვიათად გვხვდება სხვა რეგიონებში. მერდოკის (1949) მიერ შესწავლილი 250 საზოგადოებებიდან მხოლოდ 17-ში გადადიოდნენ ახალგაზრდები ახალ საცხოვრებელ ადგილზე. პატრილოკალური ადგილსაცხოვრებელი გავრცელდა იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობდა პოლიგინია, მონობა და ხშირად ქონდა ადგილი ომებს; ამ საზოგადოებების წევრები ჩვეულებრივ ეწევიან ნადირობასა და მცენარეთა შეგროვებას. მატრილოკალური ადგილსაცხოვრებელი ნორმად ითვლება იმ საზოგადოებებში, სადაც ქალები არიან მიწათმფლობელები. ნეოლოკალური ადგილსაცხოვრებელი დაკავშირებულია მონოგამიასთან, ინდივიდუალიზმის ტენდენციასთან და ქალისა და მამაკაცის ეკონომიკურ თანასწორობასთან.

საგვარეულო და საკუთრების მემკვიდრეობა.

თუ ვინმე შესძლებს ჩამოწეროს ყველა, ვისთანაც დაკავშირებულია სისხლისნათესაობრივი კავშირით (წინაპრებისა და შორეული ნათესავების ჩათვლით) უზარმაზარი სია გამოუვა. საგვარეულოს განსაზღვრის წესები შეამოკლებენ ამ სიას და აღნიშნავენ თუ რომელი ნათესავები ასრულებენ ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს. არსებობს საგვარეულოს განსაზღვრისა და საკუთრების მემკვიდრეობის სამი ტიპი. მათგან ყველაზე გავრცელებულია საგვარეულოს განსაზღვრა მამაკაცის ხაზით. ასეა მიღებული ირლანდიის სოფლის მკვიდრთა შორის, ძირითადი ნათესაური კავშირი არსებობს მამას, შვილსა და შვილიშვილს შორის. თუმცა მეუღლე გარკვეული სახით ინარჩუნებს კავშირს თავის ნათესაობასთან და მის შვილსაც აქვს მისი გენები, ბავშვები მაინც ქმრის ოჯახის წევრებად ითვლებიან.

ზოგიერთ შემთხვევებში, მაგალითად, ტრობრიანდულ კუნძულებზე გვარს ქალის ხაზი განსაზღვრავს. საუბარი ეხება გვარის განსაზღვრის სისტემას ქალის ხაზით. როგორც ამ კუნძულებზეა მიღებული, ახალგაზრდები ცხოვრობენ ქმრის დასახლებაში, მაგრამ ყოველდღიური დახმარება და სიმდიდრე დედის ხაზით შემოდის. დედის სიმდიდრე ქალიშვილის საკუთრება ხდება და ახალგაზრდა ოჯახს ცოლის ძმა ამარაგებს. ტრობრიანდული კუნძულების ოჯახური წყობა ეფუძნება ნათესაურ კავშირებს ქალისა და მამაკაცის მხრიდან.

ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა ორმხრივ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ოჯახური სისტემა. ეს ზოგადმიღებულია და შეადგენს მსოფლიო კულტურის 40%-ს. ასეთ სისტემაში გვარის განსაზღვრისას თანაბრად ითვალისწინებენ როგორც დედის, ასევე მამის ნათესაობას. მაგრამ ასეთი სისტემის დროს შეიძლება თავი იჩინოს პრობლემებმა. მრავალრიცხოვანი ვალდებულებები უამრავი ნათესაობის მიმართ, მაგალითად, აუცილებელი სტუმრობა, საჩუქრები განსაკუთრებულ დღეებთან დაკავშირებით და ფულის სესხება და ა.შ. შეიძლება ზედმეტ ტვირთად იქცეს. რა თქმა უნდა, ეს აკმაყოფილებს ბავშვებს, რომელთაც უყვართ საჩუქრები, თან ბევრი ნათესავებისაგან.

ოჯახის ძირითადი თეორიები.

მაშინ როდესაც ანთროპოლოგებმა და სოციოლოგებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სხვადასხვა საზოგადოებების ოჯახების სტრუქტურების შედარებას, ოჯახის სოციოლოგიის სფეროში ნაშრომების უმრავლესობა ეძღვნება დასავლეთის ქვეყნების ოჯახის ანალიზს: მის არსს, ადგილს საზოგადოებაში და ცვლილებებს, რომლებიც აქ ხდება დროთა განმავლობაში. მოცემული თემა, ისევე როგორც სოციოლოგიის სხვა განხრები, ძირითადად განიხილება ფუნქციონალიზმისა და კონფლიქტის თეორიის საფუძველზე.

ფუნქციონალიზმი.

როგორც უკვე ვახსენეთ (თავი 1), ფუნქციონალიზმის მომხრენი აანალიზებენ საზოგადოებას მისი ცალკეული მხარეების მთელზე გავლენის კუთხით. ოჯახი ან საზოგადოების რომელიმე ნაწილი განიხილება მისი ფუნქციის ან იმ სოციალური მოთხოვნილებების თვალსაზრისით, რომელსაც ის აკმაყოფილებს. ფუნქციონალიზმის მიმდევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ოჯახის ფუნქციის ცვლილებებს; მათი უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ამ პერიოდში დასავლურმა ოჯახმა გაფლანგა მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები (ოგბორნი, ნიმკოფი 1955). განვიხილოთ შემდეგი მაგალითები.

ეკონომიკური ფუნქცია.

ნებისმიერ საზოგადოებაში ოჯახი თამაშობს ძირითად ეკონომიკურ ფუნქციას. გლეხურ სასოფლო მეურნეობასა და ხელოსნურ მრეწველობაში ოჯახი წარმოადგენს ერთობლივ კოოპერატიულ შრომით გაერთიანებას. ვალდებულებები ნაწილდება ოჯახის წევრების სქესისა და ასაკის შესაბამისად. სამრეწველო საზოგადოების გაჩენასთან დაკავშირებულ ცვლილებებში დაიკარგა წარმოების ეს კოოპერატიული სისტემა. მუშების შრომობენ სახლს გარეთ და ოჯახის ეკონომიკური როლი დაყვანილ იქნა მხოლოდ იმ ფულის ხარჯვაზე, რომელიც ოჯახის მარჩენალს მოქონდა. თუმცა, ზოგჯერ დიასახლისი კიდევ მუშაობდა, მაგრამ მისი მთავარი ფუნქცია მაინც ბავშვების აღზრდა იყო.

სტატუსის გადაცემა.

სამრეწველო საზოგადოებაში არსებობდა სხვადასხვაგვარი ადათ-წესები და კანონები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენების ოჯახებს მეტნაკლებად ავტომატურად ანიჭებდნენ გარკვეულ სტატუსს.

მემკვიდრეობითი მონარქია ამის ნათელი მაგალითია. მიწისა და ტიტულების მფლობელ არისტოკრატებს შეეძლოთ თავიანთი მაღალი სტატუსი გადაეცათ შვილებისათვის. დაბალი კლასების წარმომადგენლებში არსებობდა გილდიისა და ხელოსნობის სწავლება; ამგვარად შეიძლებოდა პროფესიების გადაცემა ერთი თაობიდან მეორესათვის, მემკვიდრეობით.

XIX-XX სს. მიმდინარე რევოლუციების მიზანი იყო მოესპოთ ზოგიერთი ჯგუფების პრივილეგიები. ამ პრივილეგიებში იყო ტიტულის, სტატუსისა და სიმდიდრის გადაცემა შემდეგი თაობისათვის. ზოგიერთ ქვეყნებში, მათ შორის აშშ, არისტოკრატიული ტიტულების გადაცემა კანონგარეშეა გამოცხადებული. პროგრესირებადი გადასახადები, აგრეთვე დაზღვევისა და გარდაცვალების გადასახადები ასევე ამცირებენ სიმდიდრის შენარჩუნებასა და მის მემკვიდრეობით გადაცემას. მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება სიმდიდრისა და სტატუსის შვილებზე გადაცემას მდიდრულსა და მაღალი საზოგადოების ოჯახებს ჯერ კიდევ აქვთ საგრძნობი უპირატესობა. მაგრამ ეს ხორციელდება არა მემკვიდრეობის ხაზით, არამედ შვილების მომზადებით ისეთი სწავლისა და სამსახურისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ სტატუსს. მაღალი კლასის წევრებს აქვთ შესაძლებლობები მისცენ შვილებს ელიტარული განათლება და „ნაცნობობა“ აუცილებელი მაღალი სტატუსისათვის. მაგრამ ამ უპირატესობებმა გარკვეულწილად დაკარგეს თავისი მნიშვნელობა, გახდნენ რა ნაკლებად საიმედო და მდგრადი ვიდრე ადრე იყვნენ.

სოციალიზაცია.

ოჯახი ყველა საზოგადოებაში არის სოციალიზაციის მთავარი აგენტი. ბავშვები უფროსების როლის შესასრულებლად სწორედ აქ ითვისებენ ძირითად ცოდნას. მაგრამ ინდუსტრიალიზაციამ და მასთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა გარკვეულწილად ჩამოაცილა ოჯახს ეს ფუნქცია. ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა მასობრივი საშუალო განათლების სისტემის შემოღება. უკვე 4-5 წლის ასაკიდან ბავშვები იზრდებიან არა მხოლოდ სახლებში, მათზე დიდ გავლენას ახდენს მასწავლებელი. სკოლამდელი დაწესებულებების სისტემის განვითარებამ და საბავშვო ნებაყოფილობითმა ორგანიზაციებმა (მაგალითად, სკაუტთა რაზმები და საზაფხული ბანაკები) გაზარდეს სოციალიზაციის აგენტები, რომლებიც ამ ფუნქციებს ოჯახთან ერთად ასრულებენ.

სოციალური კეთილდღეობა.

ტრადიციულად გლეხებისა და ხელოსნების ოჯახები ბევრ ფუნქციებს ახორციელებენ ადამიანების „კეთილდღეობის“ უზრუნველსაყოფად, უვლიან ავადმყოფებს, ოჯახის მოხუც წევრებს. ეს ფუნქციები ძირფესვიანად შეიცვალა როდესაც აღმოცენდა სამრეწველო საზოგადოება და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო. ექიმებმა და სამედიცინო დაწესებულებებმა თითქმის მთლიანად შეცვალა ოჯახის ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობაზე, თუმც კვლავ ოჯახის წევრები ღებულობენ გადაწყვეტილებას უნდა მიმართონ თუ არა დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებას. სიცოცხლის დაზღვევამ, დახმარებამ უმუშევრობისათვის და სოციალური უზრუნველყოფის ფონდებმა ეკონომიკური კრიზისის დროს გაანთავისუფლა ოჯახი აუცილებლობისაგან მთლიანად აელო პრობლემები საკუთარ თავზე. ზუსტად ასევე სოციალურმა დახმარებამ, საავადმყოფოებმა და პენსიონერთა სახლებმა შეამსუბუქა ოჯახის ტვირთი მოხუცებზე მზრუნველობის საქმეში.

ფუნქციონალიზმის წარმომადგენელთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ამ ცვლილებებს ადგილი ქონდა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, თუმცა მათი მნიშვნელობის შესახებ კამათი დღესაც გრძელდება. ზოგიერთები, მაგალითად ოგბორნი და ნიმკოფი (1955), თვლიან, რომ ასეთი ცვლილებები ანგრევს ოჯახს. ისინი საუბრობენ სოციალურ ბოროტებებზე, მაგალითად, დანაშაულობის ზრდაზე ახალგაზრდებს შორის, განქორწინებების მატებაზე, მშობლების უფლებების შესუსტებაზე, რაც იმას მოწმობს, რომ ოჯახმა, როგორც სოციალურმა ძალამ დაშლა დაიწყო. სხვა მკვლევარები, მაგალითად, პარსონსი და ბეილზი (1955) ამტკიცებენ, რომ ოჯახი უფრო ეფექტურ როლს ასრულებს ახლა ვიდრე ადრე, რადგანაც დაკარგა რა ნაწილობრივ მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები ის გახდა უფრო სპეციალიზირებული ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად ახორციელებს ბავშვების სოციალიზაციას ადრეულ ასაკში და უზრუნველყოფს მათს ემოციურ დაკმაყოფილებას, ამზადებს ბავშვებს უფროსების როლისათვის თანამედროვე სამრეწველო საზოგადოების მომავალში.

კონფლიქტის თეორია.

ოჯახის ფუნქციონალისტური კონცეფცია ბატონობდა 50-60-იანი წლების ამერიკულ სოციოლოგიაში. მაგრამ მრავალი მიზეზის გამო მასში ეჭვი იქნა შეტანილი და დომინირებადი როლი თანდათანობით დაიკავა კონფლიქტის თეორიამ. ფუნქციონალიზმს ძირითადად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მისთვის საზოგადოების ნაწილები – დახვეწილი მექანიზმის ელემენტები მუდმივად თანხმდებიან ერთმანეთში. ჰარტმანი (1981) გაბედავს კრიტიკულ შენიშვნებს. ის ამტკიცებს, რომ ფუნქციონალიზმის თვალსაზრისით ოჯახი არის „სოციალური ძალა“ ეკონომიკური ცვლილებებისა და სოციალური კლასის გვერდით. შედეგად, ჩნდება „ვარაუდი, რომ ოჯახის წევრებს შორის ადგილი აქვს ინტერესთა ერთობას; ხაზს უსვამენ ოჯახის, როგორც ერთიანი მთლიანის როლს და არ ითვალისწინებენ ოჯახის წევრების ინტერესთა განსხვავებას ან კონფლიქტებს მათ შორის“ (გვ.368).

კონფლიქტის თეორია ცდილობს ოჯახის სტრუქტურის ახსნას სხვადასხვა დონეზე. მკვლევართა ერთი ნაწილი მეტ ყურადღებას უთმობს ძალაუფლების განაწილების ანალიზს ოჯახის შიგნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს. საფილიოს-როტშილდი (1976) ამტკიცებს, რომ სიყვარული გავლენას ახდენს მეუღლეებს შორის ძალაუფლების განაწილებაზე. მისი აზრით უფრო მოყვარულ მეუღლეს ნაკლები ძალაუფლება აქვს, რადგანაც უფრო ძლიერაა ფსიქოლოგიურად დამოკიდებული. ერთნაირად მოყვარულ მეუღლეებს ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. როგორც საფილიოს-როტშილდი თვლის, ქალი უფრო მეტ სიყვარულს ავლენს ქმრის მიმართ და ამიტომ ქორწინება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური გაცვლა: ქალი აძლევს სიყვარულს იმ სოციალურ-ეკონომიკურ სიკეთეთა გამო, რომელიც მამაკაცსა აქვს.

კონფლიქტზე ორიენტირებული სხვა თვალსაზრისის მიხედვით ოჯახი განიხილებოდა, როგორც დიდი საზოგადოების კონფლიქტის „მიკროკოსმი“. წარსულში ეს იდეა გამოთქვეს კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამრეწველო რევოლუციამ ხელი შეუწყო ოჯახის გარდაქმნას ფულადი ურთიერთობების ერთობლიობად. მაგალითად, ბავშვთა შრომის გამოყენების შედეგად მუშათა კლასის ოჯახებში ბავშვები გადაიქცნენ შრომის იარაღად და საქონლად. საშუალო კლასის ოჯახებში ქალებს უყურებდნენ, როგორც ოჯახის მონებს. ქალები მუშათა კლასიდან იძულებულნი იყვნენ ემუშავათ, ეშოვათ ფული ოჯახის გადასარჩენად. მაგრამ, რადგან ისინი ღებულობდნენ ხელფასს, მათი მდგომარეობა ოჯახში უახლოვდებოდა მამაკაცის სტატუსს, საშუალო კლასის ქალებისაგან განსხვავებით.

ოჯახთან კავშირში კონფლიქტის თეორიის თანამედროვე ვარიანტი ჩამოაყალიბა ჰარტმანმა (1981). ის ამ თეორიას „მარქსისტულ ფემინისტურს“ უწოდებს. მისი აზრით, ოჯახის არსის გაგება არ არის დაკავშირებული მის წევრებს შორის ნათესაური და ემოციური ურთიერთობების ანალიზთან; ოჯახი – „ბრძოლის“ ველია. ოჯახში ადგილი აქვს ეკონომიკურ წარმოებასა და მატერიალური სიმდიდრის გადანაწილებას, თანაც ამ დროს ყოველი წევრის ინტერესი კონფლიქტშია ოჯახის სხვა წევრებისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებთან. (ჰარტმანი ქალია. შ.კ.)

რა კონფლიქტებზეა საუბარი? მაგალითები მოცემულია ცხრილში. მათ შორისაა დავა იმის შესახებ თუ ვინ უნდა იშვოს(გამოიშვოს) ფული, ვინ უნდა შეასრულოს საოჯახო საქმეები, ოჯახის შემოსავლის რა ნაწილი უნდა გადაუხადო სახელმწიფოს და ა.შ. ჰარტმანს მიაჩნია, რომ კაპიტალისტური პატრიარქალური სისტემის განვითარებამ მიგვიყვანა კაპიტალისტებისა და მამაკაცების ხელში ეკონომიკური საშუალებების კონცენტრაციამდე. დაბალი კლასების (ე.ი. ქალებისა და მუშების) გადასარჩენის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას მატერიალური საშუალებების გადანაწილების მექანიზმი. შრომა ფულისათვის არის კაპიტალისტური სიმდიდრის რაღაც ნაწილის მუშებისათვის გადანაწილების საშუალება, ხოლო ოჯახებში ძირითადად ხორციელდება მამაკაცთა სიმდიდრის გადანაწილება და შედეგად ამ სიმდიდრის რაღაც ნაწილს ქალები ღებულობენ. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სხვათა შორის, ოჯახი არის ბრძოლის ველი, სადაც ადგილი აქვს ბრძოლას საშუალებათა გადანაწილებისათვის, მათ შორის საოჯახო მეურნეობის მართვისა და ბავშვების აღზრდისათვის. ჰარტმანის აზრით ქალების მძიმე მოვალეობები არის ექსპლოატაციის ფორმა, რაც ჩამოაყალიბდა კაპიტალისტური პატრიარქალური სისტემის შიგნით.

ოჯახის თეორიაში, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, წინააღმდეგობა ფუნქციონალისტებსა და კონფლიქტის თეორიის მომხრეთა შორის გაზვიადებულია. არც ერთი სერიოზული მკვლევარი არ უარყოფს, რომ ოჯახი ასრულებს უამრავ მნიშვნელოვან ფუნქციას, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია შინაგანი კონფლიქტები, რომლებიც ხელს უწყობენ უფრო ფართო მშტაბის კონფლიქტების აღმოცენებას. სოციოლოგების ამოცანაა – განსაზღვრონ მრავალი ფაქტორის ფარდობითი მნიშვნელობა და შექმნან თეორია, რომელიც ახსნიდა მათ გავლენას ოჯახსა და ცალკეულ ადამიანებზე.

ცხრილი 13-2.

კონფლიქტის წყარო	კონფლიქტები ოჯახში:	კონფლიქტები ოჯახებსა და უფრო დიდ ორგანიზაციებს შორის.
საწარმოო დავა	საოჯახო საქმიანობა: ვინ უნდა შეასრულოს? როგორ? რომელი სტანდარტების მიხედვით? ძალი უნდა მუშაობდეს თუ მამაკაცი უნდა წარმართავდეს საოჯახო საქმეებს?	მრეწველობა საოჯახო მეურნეობის სექტორში წინააღმდეგ კაპიტალისტებისა და სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მრეწველობისა: კაფემი უნდა ისაუზმო თუ სახლში უნდა ისადილო? რა უფრო უპრიანია: ერთად აღზარდოს შვილები ორივე მშობელმა, თუ ჩააბაროს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ცენტრებში?
დავა სიმდიდრის განაწილებისათვის;	ხელფასი: როგორ დაიხარჯოს ფული? ვინ უნდა გადაჭრას ეს საკითხი? მამაკაცმა უნდა ხარჯოს ფული ფუფუნების საგნებზე თუ დააკმაყოფილოს ოჯახის მოთხოვნილებები?	გადასახადები: ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას ოჯახის სამუალებების გამოყენებაზე – ოჯახის წევრები თუ სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები?

### ამერიკული ოჯახი

ამერიკული ოჯახი არის ნუკლეარული, მონოგამური, ნაწილობრივ პატრიარქალური, ნაწილობრივ ეგალიტარული, მის ნორმად ითვლება ნეოლოკალური ადგილსაცხოვრებლის შერჩევა და ორმხრივი ნათესაობა. ეს ტერმინები ახასიათებენ ოჯახს, მაგრამ არ იძლევიან სრულ წარმოდგენას ოჯახურ ცხოვრებაზე აშშ. უმრავლესობისათვის ახალი ოჯახის შექმნა რომანტიკული სიყვარულით იწყება.

რომანტიკული სიყვარული.

„სან-ფრანცისკო ქრონიკის“ მიმომხილველმა ბეი არეას რაიონის ახალგაზრდებს კითხვით მიმართა: „რა თავგადასავალზე ოცნებობთ მთელი სიცოცხლე?“ ერთმა გოგონამ ასეთი სახასიათო პასუხი გასცა: „მე უკვე მოვიფიქრე. უნდა გავემგზავრო პარიზში, შევხვდე ჩემს სიყვარულს და მასთან ერთად იალქნიანი ნავით ვისეირნო – იქ, მათი ქალაქის ცენტრში მდინარე გადის. მინდა, რომ ეს იყოს როგორც ფილმებშია, ვფიქრობ პარიზზე და წარმომიდგენია, როგორ ვდგევარ მაგიდებისაგან გაკეთებულ ესტრადაზე და ვმღერი ცნობილ ფრანგულ სიმღერებს, ირგვლივ ყველა ბედნიერია და ყველას უყვართ ერთმანეთი“ („სან-ფრანცისკო ქრონიკის“. 12 იანვარი, 1980 წელი).

ალბათ პარიზელებს ღიმილს მოგვრიდა ეს რომანტიკული სახე. ისინი ხომ სულაც არ განსხვავდებიან ამერიკელებისაგან – მუშაობენ მასწავლებლად, მემანქანედ, მიმტანად. მაგრამ თუ გაზეთის რეპორტიორი ჩავიდოდა პარიზში, ალბათ შეხვდებოდა ახალგაზრდა პარიზელებს, რომლებიც ასევე ოცნებობენ საყვარლებთან ერთად ნავით გასეირნებაზე . . . იტალიის ტბებში.

იტალიელებს, ფრანგებს, ამერიკელებს, დასავლეთის სხვა მკვიდრთ სიყვარულზე აქვთ მათი კულტურის შესაბამისი შეხედულება. ამ შეხედულებებით ყალიბდება მათი მოლოდინი და ეხმარება მათ სწორად გაერკვეთ თავიანთ გრძნობებში. ზოგიერთი ამ შეხედულებათაგან სულაც არ არის ახალი. ისინი აღმოცენდნენ ჯერ კიდევ 900 წლის წინ ვასალის ფეოდალისადმი აბსოლუტური ერთგულების იდეიდან .

აღნიშნული შეხედულებები სიყვარულზე ახალი იდეების გავლენით შეიცვალა XVIII საუკუნეში. სიყვარულის ძიება გახდა პიროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ეტაპი. საშუალო კლასის წარმომადგენელი ქალისათვის, რომელიც მეუღლის სამსახურში წასვლის შემდეგ, ჩვეულებრივ მარტო რჩებოდა სახლში, სიყვარული „ცხოვრების მთავარი საზრისია, გადამწყვეტი მოვლენაა, მასზე დამოკიდებული ყველა ცხოვრებისეული სიკეთე: არსებობის საშუალება, ნაბიჯები ცხოვრებისეულ საფეხურებზე და წარმატება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა საშუალო კლასისათვის” (გვ.123). ამგვარად, ნამდვილი სიყვარულის ძიება პიროვნების თვითცნობიერების გამოვლენაა. მასში გამოიხატა ადამიანის სწრაფვა დაიკავოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, საკუთარი არსის მორალური შეფასება.

ჯეინ ოსტინის რომანებში შემდეგნაირად არის აღწერილი საკუთარი „მე“-ს შემეცნება: სიყვარულის გრძნობაში თითქოსდა ორი სულია შერწყმული, გახსნილია ქალის ხასიათის თვისებები, რომელთა შეფასება მხოლოდ მის შეყვარებულს შეუძლია. მისი ღირსებების გაცნობიერება ხელს უწყობს ქალის ზნეობრივ სრულყოფას. რამდენადაც სიყვარულმა გამოაღვიძა შეყვარებულთა საუკეთესო თვისებები, ქორწინებაში ორივე მხარე სამართლიანად დაჯილდოვდება. სიყვარულზე მითის მიხედვით სამყაროში, სადაც ადამიანები ხშირად მარტოობაში გრძნობენ თავს, სიყვარულს შეუძლია უკუაგდოს ყოველი ზედმეტი და ჩაწვდეს სულის სიღრმეს. ამიტომ სიყვარულში ადამიანები ერთმანეთს იმეცნებენ, იმეცნებენ საკუთარ შინაგან სამყაროს” (გვ.124).

აშშ ქორწინება ეფუძნება სიყვარულს მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან. სხვა საზოგადოებების (განსაკუთრებით წარსულის) უმრავლესობაში ქორწინებას აწყობდნენ მეფე-პატარძლის ოჯახები. მაგალითად XVII ს. ინგლისში ქორწინება იყო თავისებური გაცვლა საგვარეულო კლანებს შორის, იგულისხმებოდა აგრეთვე შედარებითი მზითვი. ამიტომ ოჯახის ბედი დამოკიდებული იყო ქორწინებაზე, რომლის წყალობით ინარჩუნებდნენ ოჯახის სიმდიდრეს. (პოსტერი, 1980, გვ.179). ამ კონტექსტში სავარაუდოა რომ ქორწინების საფუძველი სიყვარული ყოფილიყო.

ქორწინება აშშ.

სხვა სამრეწველო საზოგადოებებთან შედარებით ქორწინებები აშშ ყველაზე მეტია. (10,6 ყოველ 1000 ადამიანზე, 1981 წელს). მაღალი მაჩვენებელია საბჭოთა კავშირშიც (10,7 – 1078), ეგვიპტეში (9,5– 1979), და იაპონიაში (6,8 – 1079). ასე იყო ყოველთვის. 1800 წლიდან მოყოლებული ყოველი ასაკობრივი კოჰორტის 90% – ბოლო და ბოლოს ქორწინდებოდა.

ამ მიმართებით დიდი ცვლილებებია ბოლი 40 წლის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით აისახა 20-24 წლის ახალგაზრდებში. როგორც 13-2 სქემაზეა ნაჩვენები ამ ასაკის ქალებისა და კაცების ქორწინების მაჩვენებლებმა კლება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს და მინიმუმს მიაღწია 1960 – იანი წლების დასასრულისათვის. ამ დროისათვის პირვლად დაქორწინებულთა ასაკი ვაჟებისათვის იყო 22,5 წელი, ხოლო გოგონებისათვის – 20,2 წელი (გლიკი, ნორტონი, 1979). შემდეგი ოცი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი იზრდება და 1984 – სათვის 20-24 წლის ნახევარი ამერიკელები არ იყვნენ დაქორწინებული.

პოლ გლიკსა და არტურ ნორტონს (1979) მოყავთ ამ ტენდენციის რამდენიმე მიზეზი. ვიეტნამის ომის დროს ახალგაზრდები გვიან ქორწინდებოდნენ, რადგან ემზადებოდნენ სამხედრო სამსახურისათვის ან ღებულობდნენ განათლებას. ქალები ჩვეულებრივ სწავლობდნენ სკოლებში, შემდეგ კი მუშაობდნენ და ირჩენდნენ თავს. მეტიც, 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროინდელი შობადომის ბუმის პერიოდში, ამ დროისათვის სრულწლოვანი ხდებიან და გამოდიან შრომის ბირჟაზე. რამდენადაც ბევრი დაოჯახებას აპირებს მას მერე რაც დადგება ფეხზე – დაიწყებენ მუშაობას, მისცემენ თავს ოჯახის შექმნის უფლებას, შესძლებელ ბავშვების მოვლას – შრომის ბირჟაზე მკაცრი კონკურენცია ამცირებს ქორწინებათა რაოდენობას.

ხელმეორე ქორწინება.

მრავალი ქორწინება ხშირად ხელმეორეა. 1975 წელს ქორწინებათა მეოთხედი ხელმეორე იყო. ეს მაჩვენებელი ძალზე გაიზარდა 1960 წლის მერე, როდესაც ხელმეორე ქორწინება მხოლოდ ქორწინებების მეშვიდედი იყო. ხელმეორე ქორწინებებმა 70-იანი წლების დასაწყისში პიკს მიაღწია და დაიწყო კლება ათწლეულის მეორე ნახევარში (გლიკი, ნორტონი, 1979).

ამ ტენდენციის მიზეზი ჯერ კიდევ ბუნდოვანია. როგორც ეტყობა, მატერიალური დახმარება, რასაც განქორწინებული ქალები ღებულობენ საკმარისია იმისათვის, რომ მათ მეუღლის გარეშე იცხოვრონ. მაგრამ მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარების პროგრამები დენვერსა და სიეტლში ოდნავ თუ ამართლებენ ამ აზრს. შემოსავლების გაზრდამ დაბლა დასწია მექსიკელი ქალების ხელმეორე ქორწინების მაჩვენებლები, მაგრამ ეს არ შეიმჩნეოდა ზანგებსა და თეთრკანიან ქალებში (ჰანანი, ტუმა, გრენზველდი, 1977).

ენდოგამია.

ამერიკულ საზოგადოებაში ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა რელიგიური რწმენა, რასობრივი განსხვავება, სოციალური კლასი და ასაკი, განსაზღვრავენ ჯგუფებს რომლის წევრებთანაც ინდივიდი ისურვებს ქორწინებას. უპირატესობას ანიჭებენ რელიგიურ ერთობას და ეს ჩანს ერთი რელიგიის შიგნით ქორწინების მაღალი მაჩვენებლებით. 1973 წლიდან 1978 წლამდე 92,6% პროტესტანტებისა ერთმანეთში დაქორწინდნენ. ასევე მოიქცა 82% კათოლიკე, და 88,2% ებრაელი (გლენი, 1982). ეს მაჩვენებლები თითქმის არ განსხვავდებიან 1957 წლის მაჩვენებლებისაგან, როდესაც კათოლიკეები და პროტესტანტები სამჯერ უფრო ხშირად ქორწინდებოდნენ თავიანთი რწმენის ადამიანზე, ვიდრე სხვაზე. ებრაელები 14 ჯერ უფრო ხშირად ქორწინდებოდნენ ებრაელებზე, ვიდრე სხვა რწმენის წარმომადგენლებზე. (U.S. Bureau of the Census, 1958).

როდესაც ახალგაზრდებს ეკითხებიან მათ თვალსაზრისს უცხო რწმენის ადამიანზე ქორწინების შესახებ, ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას, თუმცა სინამდვილეში სხვადასხვა რწმენის წარმომადგენელთა შორის ქორწინება საერთო რიცხვის 6,4% -ია.

კოლეჯის სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების 55% უყოყმანოდ დაქორწინდება უცხო რწმენის ადამიანზე. კათოლიკეთა 72% დადებითად შეაფასა ასეთი ქორწინებები, მაგრამ ებრაელთა მხოლოდ 12% დაუშვა ასეთი ქორწინებები (ლენდისი, 1960; ციტ. ბერარდო, 1973).



ადამიანები ქორწინდებიან თავიანთი რწმენის ადამიანებზე, რადგან მათ ჩვეულებრივ უყალიბდებათ საერთო ღირებულებები, ისინი ეკუთვნიან ერთ სოციალურ კლასს, როგორც წესი, ცხოვრობენ მეზობლად. სავსებით გასაგებია ისიც, რომ აქ ადგილი აქვს სოციალურ ზეწოლას, რომელიც წინააღმდეგია სხვადასხვა რწმენის ადამიანების ქორწინებაზე. ალბათ მშობლებს არ სურთ შერეული ქორწინებები, თავს არიდებენ ოჯახის კულტურაში უცხო ელემენტის შემოჭრას. ბოლოს, სასულიერო წარმომადგენლების უმრავლესობა შერეული ქორწინებების წინააღმდეგია, რადგან რელიგიურ თემაზე ოჯახური კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს მრევლის რაოდენობაზე (ნაი, ბერარდო, 1973).ს

სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა შორის ქორწინებები ბევრად ნაკლებია სხვადასხვა რწმენის წარმომადგენელთა შორის ქორწინებებზე. მაგალითად, ზანგების მხოლოდ 3%-ია დაქორწინებული თეთრკანიან ქალებზე, ხოლო ზანგი მეუღლე ყავს მამაკაცთა მხოლოდ 0,1%. (U.შ. ბურეაუ ოფ ტჰე ჩენსუს, 1958). ზოგადად, რაც უფრო მცირეა ჯგუფი, მით უფრო მეტი ადამიანი ამ ჯგუფიდან ქორწინდება უცხოზე. ეს აჩვენა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ რაიონში ჩატერებულმა გამოკვლევამ, თეთრკანიანები უფრო ნაკლებად ქორწინდებიან სხვებზე, ვიდრე ზანგები და იაპონელები. სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა შორის ქორწინებების სიმცირე სავსებით გასაგებია. თუმცა კანონები, რომლებიც კრძალავენ ასეთ ქორწინებებს (ძირითადად სამხრეთში 1967) უმაღლესი სასამართლოს მიერ გაუქმებულია, ზეწოლა ოჯახების, მეგობრების, ერთობის წევრების მხრიდან ხშირად ხელს უშლის ასეთ ქორწინებებს.

ბოლოს, ადამიანი იმასთან ცდილობს ქორწინებას, ვინც ახლოს ცხოვრობს, აქვს დაახლოებით ისეთივე სტატუსი, რაც მას. ოჯახური წყვილების გამოკვლევამ ოსლოში (ნორვეგია) აჩვენა, რომ ქორწინებები მეზობლებს შორის (ერთი მილი საზღვრებში) ორჯერ უფრო ხშირია სხვა ქორწინებებზე. ქორწინებები ერთი სოციალური სტატუსის მქონეთა შორის თითქმის ერთნახევარჯერ ამეტებს შემთხვევით ქორწინებებს. (რამსეი, 1966). ეს ორი ფაქტორი – გეოგრაფიული სიახლოვე და სტატუსის ერთობა, ალბათ ურთიერთმოქმედებენ. მეზობლად მცხოვრები ადამიანები ნაწილობრივ იმიტომ ქორწინდებიან, რომ აქვთ დაახლოებით ერთნაირი სტატუსი. თავის მხრივ, ეს იმით აიხსნება, რომ ერთი და იმავე სტატუსის ადამიანები ჩვეულებრივ ერთ უბანში ან მეზობელ უბნებში ცხოვრობენ.

განქორწინებები.

ზოგჯერ საქორწინო აურზაურის შემდეგ შეიძლება რომანტიკული სიყვარული გაქრეს. ლილიან რუბინის წიგნში („ტკივილის სამყაროები“, 1976) მოყვანილია ერთი ქალის სიტყვები: „პირველი დარტყმა, რომელიც ჩვენ მივიღეთ გამოწვეული იყო ფინანსური პრობლემებით. ჩვენ გადავვარდით სიღარიბეში. გათხოვებამდე მე სულ სხვაგვარ ცხოვრებაზე ვოცნებობდი, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მეუღლე მხოლოდ დოლარნახევარს მამლევდა საათში; თანაც მას ხშირად არც ქონდა სამსახური და არც არაფერს არ ღებულობდა“ (გვ.71). მეუღლე ასე ყვება: „მე არ მესმის რას გადამეკიდა, ვცდილობ რამე შეეცვალო, ასე ყოფა მეც არ მაწყობს. . . არ მესმის როგორ მოვხვდი ამ ვითარებაში. თავს ვადარებდი მეგობრებს, ისინი ძველებურად ღებულობენ სიამოვნებას ცხოვრებისაგან. მათ არავინ არ საყვედურობს, არ ასწავლის თუ როგორ ხარჯოს ფული, რა აკეთოს. მუშაობენ თავიანთი სურვილით. მშურდა უცოლო ბიჭების, კვლავ მინდოდა მათ ადგილზე ყოფნა“ (გვ.77).

ცხადია, ფინანსური პრობლემები ოჯახური კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზია. კამათი ბავშვების აღზრდის საკითხებზე, სექსზე, ნათესავებთან ურთიერთობაზე, ან რელიგიურ და პოლიტიკურ განსხვავებებზე შეიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი. ბლადასა და ვოლფეს

(1960) აზრით ქორწინება არაა მყარი, თუ ნათესავებთან ურთიერთობა გახდება ოჯახის დამანგრეველი მიზეზი. სერიოზული პრობლემები მეუღლეებს უჩნდებათ ბავშვის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. აზრთა განსხვავების საფუძველი შეიძლება დაკავშირებული იყოს როლურ კონფლიქტებთან, მაგრამ ისინი ნაკლებად ანგრევენ ოჯახს, ვიდრე სხვა პრობლემები. (როლური კონფლიქტები ჩნდებიან ქალის სამსახურისა და საოჯახო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით. ქალები ხშირად ჩივიან, რომ მეუღლეებს დაბალი ხელფასი აქვთ, მამაკაცები კი ადანაშაულებენ მეუღლეებს საოჯახო მეურნეობის მართვის უნიჭობაში). როგორც ეტყობა ყველაზე საშიში კონფლიქტების მიზეზია მეუღლეებს შორის პიროვნული განსხვავებები. შეჯახებას იწვევს რომელიმე წევრის ჩვევა, მაგალითად, ლოთობა ან თამბაქოს წევა. ოჯახურ ცხოვრებაში მათ შეიძლება ძლიერი სტრესი გამოიწვიონ.

მიზეზების მიუხედავად განქორწინებების დონე ყველაზე მაღალია აშშ: 1981 წელს 5,3 ყოველ 1000 ქორწინებაზე. 1965 წელს, 1978-თან შედარებით ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტი იყო. მაგრამ 1977-1978 წლებში ოდნავ შეიცვალა და დაახლოებით 5-ს გაუტოლდა (გლიკი, ნორტონი, 1979).

როგორც 13-2 სქემაზეა ნაჩვენები განქორწინებების ზრდა ყოველთვის არის და ყოველთვის არათანაბარია. XIX ს. შუაწლებიდან XXს. 20-იან წლებამდე შეიმჩნევა განქორწინებების დონის უმნიშვნელო ზრდა. მალევე პიველი მსოფლიო ომის (1920) და მეორე მსოფლიო ომის (1946) შემდეგ ეს დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, დაიშალა ის ოჯახები, რომლებიც ომის დროს შეიქმნენ. დონე დაბლდება 30-იანი წლების დეპრესიის დროს. ეს გამოწვეულია სამუშაოსა და საცხოვრებლის არარსებობით, ადამიანები ვერ აძლევდნენ თავს განქორწინების უფლებას. ბოლოს, როგორც უკვე აღინიშნა განქორწინებების დონე შესამჩნევად მატულობს 1965-დან 1970-იანი წლების ბოლომდე.

განქორწინების დონეზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური პირობები. როდესაც სამსახურის შოვნა ადვილია, ახალგაზრდები ოჯახის შენახვასთან დაკავშირებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. მაგრამ, რაც უფრო ადრე ქორწინდებიან ადამიანები, მით უფრო მეტია განქორწინების ალბათობა. თინეიჯერები უფრო ადრე სცილდებიან ერთმანეთს, ვიდრე ოც წელს გადასული ახალგაზრდები. მაგრამ, ზოგიერთი სოციოლოგის აზრით განქორწინებების ზრდის ტენდენცია არაა გაპირობებული ოჯახების მდგრადობით, ეს უფრო გამოწვეულია განქორწინების პროცესის სიადვილით. ისინი აღნიშნავენ, რომ განქორწინებულ წყვილთა რაოდენობა უფრო გაიზარდა, ვიდრე ცალ-ცალკე მცხოვრებ მეუღლეთა რაოდენობა. ამგვარად, როგორც ეტყობა, განქორწინება გახდა მეუღლეთა შორის კონფლიქტების მოგვარების უფრო გავრცელებული საშუალება, კონფლიქტებისა, რომლებიც ყოველთვის არსებობდა (გლიკი, ნორტონი, 1979).

განქორწინებასთან მიმართების ცვლილებამ და ქალის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ, ალბათ, ასევე შეუწყო ხელი ზოგიერთი წყვილების განქორწინებას. თუ ქალს აქვს მუდმივი სამუშაო, ადვილად უზრუნველყოფს თავსა და ბავშვებს, ვიდრე ამას ახერხებდა ბავშვისათვის განკუთვნილი დახმარებითა და სხვა სახელმწიფოებრივი დოტაციებით. დახმარებები ალბათ აწყობს კარიერაზე პრეტენზიის არმქონე დაბალი განათლების ქალებს, მაგრამ ეს ასევე უწყობს ხელს განქორწინებების გავრცელებას.

ზეწოლა ოჯახურ ცხოვრებაზე.

ამ და 11 თავში განხილული ტენდენციების შედეგად ამერიკული ოჯახი აღმოჩნდა დრამატული სოციალური ცვლილებების მორევში, და ძნელია მას დაბრალდეს მდგრადი

სოციალური ინსტიტუტის სახელი. ეს, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული ცვლილებები გახდა თანამედროვე საზოგადოების დამაბულობის საფუძველი.

ოჯახი, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს.

უკანასკნელი წლების ყველაზე დრამატული ცვლილებები დაკავშირებულია შრომით საქმიანობაში ქალთა მასობრივ ჩაბმასთან (იხ. თავი 11). ორივე მეუღლის სამსახურმა უფრო ღრმა გავლენა მოახდინა იმ ოჯახებზე სადაც მცირეწლოვანი ბავშვები ყავთ, ვიდრე იმ ოჯახებზე სადაც ბავშვები წამოიზარდნენ (ან არა ყავთ). ჩვილბავშვიანი და სკოლამდელი ასაკის ბავშვიანი ოჯახები, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს, ალბათ არ დაგვეთანხმებიან. ქალებს, რომლებიც დაიბადნენ შობადობის ბუმის პერიოდში უკვე ყავთ საკუთარი შვილები. ბევრი გეგმავს მუშაობას ბავშვის გაჩენის შემდეგაც. სტატისტიკური მონაცემებით, მათი თითქმის ნახევარი დაუბრუნდება სამუშაოს, როდესაც ბავშვებს 6 წელი შეუსრულდებათ (ჰოფერტი, 1979).

ოჯახებში, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს შეიძლება შეიქმნას სტრესული მდგომარეობა, რომელსაც რონა და რობერტ რაპოპორტები (1976) გადატვირთულობის დილემას უწოდებენ.

მაგალითად, სახლში დაბრუნებულ ქმარს ან ცოლს ასეთი სურათი ხვდება: სრული უწყესრიგობა, ბავშვები ჩხუბობენ, მაცივარი ცარიელია. ეს ალბათ ქმნის დამაბულობას. ორივე მეუღლე ასევე შეეჩეხება პრობლემას, რომელსაც იდენტურობის დილემას ეძახიან – საუბარი ეხება მცდელობას მრავალ მოვალეობას ერთდროულად გაართვა თავი. ქალს, რომელიც გაიზარდა დედასთან ან დიასახლის-ნათესავთან ერთად, ალბათ შეუძლია მეუღლის ჩართვა ოჯახის საქმიანობაში, მაგრამ ყოველთვის არ ეცოდინება თუ როგორ გაართმევს ის თავს ამ როლს. თავის მხრივ ქმარს შეუძლია შეაქოს მეუღლე, რომ მას ოჯახში ფული შემოაქვს, მაგრამ ხშირად მას არ აწყობს თუ ცოლი მასზე მეტს ღებულობს.

თუმცა ოჯახები, სადაც ორივე მეუღლე შრომობს ფართოდ გავრცელდა, შრომის დანაწილება სქესობრივი პრინციპების მიხედვით მყარად დამკვიდრდა ამერიკულ ოჯახში. ამასწინათ ბლადმა და ვოლფმა დაადგინეს, რომ აღნიშნული დანაწილება არც თუ მკაცრად დადგული თუ ცოლის განათლების დონე ქმრისაზე მაღალია. როგორ გადანაწილდება მოვალეობები ცოლსა და ქმარს შორის თუ ქალი მუშაობს? უოლკერისა და ვუდსის მიერ სირაკუზაში (ნიუ-იორკი) ჩატარებულმა ოჯახების შერჩევითმა გამოკვლევამ აჩვენა: რაც უფრო მეტ ხანს არის ქალი სამსახურში, მით უფრო ნაკლებ საქმეს აკეთებს ოჯახში, მაგრამ მთლიანობაში მისი დატვირთვა იზრდება. მაგრამ მოსამსახურე მეუღლიანი მამაკაცები ჩვეულებრივ ეხმარებიან მეუღლეებს არცთუ მეტად ვიდრე დიასახლისებს და მათი დატვირთვა (სახლსა და სამსახურში) სინამდვილეში უფრო ნაკლებია რაც უფრო მეტს შრომობს მეუღლე (სქემა 13-3).

დროის ბიუჯეტის სხვა მკვლევარები ჩვეულებრივ ეთანხმებიან სირაკუზაში ჩატარებული კვლევის შედეგებს (ჰარტმანი, 1981). ისინი ამტკიცებენ იმ ჰიპოთეზის სისწორეს, რომ მამაკაცებს არ სურთ ქალთან თანაბრად გაიყონ ბავშვის აღზრდის, სახლის დალაგების ან სხვა საოჯახო საქმეები, მაშინაც კი როდესაც მეუღლე მუშაობს. მაგრამ ერთ გამოკვლევაში აღმოჩნდა ოჯახური საქმეების განაწილებასთან დაკავშირებული საინტერესო თავისებურება. ლეიკმა (1970) აღმოაჩინა, რომ, როდესაც ოჯახის წევრებს შესთავაზეს ერთად გადაეჭრათ საოჯახო საქმეების გადანაწილების პრობლემა, ისინი ადვილად პოულობდნენ საერთო ენას და არ აქცევდნენ ყურადღებას ტრადიციულ სქესობრივ როლებს. მაგრამ, როდესაც ამავე პრობლემას ასრულებდნენ უცხო ვინმეს თანდასწრებით, ისინი უბრუნდებოდნენ ტრადიციულ როლებს. ლეიკი ასკვნის, რომ მოვალეობათა თანაბარი გადანაწილება ადვილად ხორციელდება

ოჯახის შიგნით, უცხო გარეშე. ეს იმით აიხსნება, რომ უცხო თანდასწრებით მამაკაცებიც და ქალებიც ცდილობენ შესაბამისობაში იყვნენ ტრადიციულ „სახეებთან“.

ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის.

სოციოლოგებს მიაჩნიათ, რომ კონფლიქტები მშობლებსა და შვილებს შორის გარდუვალია იმ საზოგადოებაში, სადაც ადგილი აქვს მძაფრ ცვლილებებს. ჩვენს საზოგადოებაში ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შორის ადგილი აქვს უთანხმოებას სადავო საკითხების ფართო წრესთან, დაწყებული იქიდან თუ როდის უნდა დაწვეს ბავშვი და დამთავრებული ცხოვრების მეგზურის შერჩევით. აღწერილი „განხეთქილება თაობებს შორის“ განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 60-იან წლებში, როდესაც კოლეჯის სტუდენტები დაუპირისპირდნენ ოცდაათწლიანი ადამიანების ღირებულებებს, რომლებიც მიისწრაფოდნენ წარმატებული კარიერისაკენ და ქალაქის გარეუბნებში მშვიდი ცხოვრებისაკენ.

მაგრამ ოჯახის თაობებს შორის კონფლიქტების გარდუვალობის გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, ზოგიერთი გამოკვლევების გამოაჩენებელ აღმოჩენად იქცა მშობლებსა და შვილებს შორის თანხმობის მაღალი დონე. მაგალითად, ერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კოლეჯის სტუდენტები სავსებით ეთანხმებიან თავიანთ მამებს ისეთ სადავო საკითხებზე, როგორცაა სექსუალური ნორმები, გარემოს დაცვა, საუნივერსიტეტო ქალაქებში უწესრიგობების მიზეზები, ომისადმი დამოკიდებულება და სეგრეგაცია (იაკობსენი, ბერი, ოლსონი, 1975). ყმაწვილები უფრო არ ეთანხმებიან თავიანთ მამებს ვიდრე გოგონები. კოლეჯის სტუდენტები, რომლებიც უფრო მეტხანს სწავლობდნენ სკოლებში, ნაკლებად ეთანხმებიან მათ მამებს. განხეთქილებების ალბათობა მეტია მუშებსა და მათ შვილებს, უკვე კოლეჯის სტუდენტებს შორის. სამეცნიერო ხარისხიანი ან კონსერვატიული შეხედულებების მამები ჩვეულებრივ, არ იზიარებენ თავიანთი შვილების შეხედულებებს პოლიტიკასა და ზნეობის საკითხებზე. თუმცა აქ ურთიერთთანხმობა უფრო ხშირად შეიმჩნევა, ვიდრე უთანხმოება. ამ შედეგების უფრო ღრმად გასააზრებლად ბარმა და ბაუერმანმა (1973) საუბრები ჩაატარეს 18664 ყმაწვილთან. აღმოჩნდა, რომ იმ ოჯახებში გაზრდილი ახალგაზრდები, სადაც მშობლებს ერთნაირი გავლენა აქვთ, ჩვეულებრივ ითვისებენ თავიანთი მშობლების ღირებულებებს, ცნებებს და შეხედულებებს. ეს არ შეიმჩნევა იმ ოჯახებში სადაც ძალაუფლებას ერთი მშობელი, განსაკუთრებით დედა ფლობს.

განქორწინების შედეგები.

1956 წლის შემდეგ გაორმაგებული განქორწინებები იმას ნიშნავს, რომ მრავალი წყვილი და მათი შვილები ძლიერ განიცდიან ოჯახურ სიდუხჭირეს, რაც ჩვეულებრივ თან სდევს განქორწინებებს. განაზოგადა რა მრავალი გამოკვლევების შედეგები, ჩერლინი აღნიშნავს, რომ განქორწინებულ ქალსაც და მამაკაცსაც პერიოდულად ენატრება თავისი მეუღლე, აწუხებთ, მიუხედავად იმისა ვინ იყო განქორწინების ინიციატორი და ქორწინება არ მიაჩნდათ ბედნიერად. განქორწინება უცბადვე ძალზე მძიმედ აისახება ბავშვების მორალურ მდგომარეობაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შიში ეუფლებათ, საკუთარ თავში დამაჯერებლობა აკლიათ, გაქორწინების მიზეზად საკუთად თავს თვლიან. უფრო დიდი ბავშვები უშუალოდ გამოხატავენ თავიანთ გაღიზიანებას. ბავშვების უმრავლესობა მშვიდდებიან განქორწინებიდან 1 ან 2 წლის მერე, თუმცა ზოგიერთი მათგანი მარტოობასა და უბედურებას გრძნობს 5 ან მეტი წლის განმავლობაში, მაშინაც კი თუ მშობლები შერიგდებიან ან ხელახლა დაქორწინდებიან.

მარტოხელა მშობლების ოჯახები.

ამ თავის დასაწყისში ჩვენ ავლნიშნეთ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ერთმშობლიანი ოჯახების სწრაფი ზრდა. ამის მთავარი მიზეზი იყო განქორწინებულ ქალთა რაოდენობის სწრაფი ზრდა, რომლებიც ხელახლა არ გათხოვდნენ, და ასევე იმ ქალებისა, რომელთაც ქორწინებაგარეშე ბავშვები ყავთ.

განქორწინებების სწრაფმა ზრდამ განაპირობა არატრადიციული ოჯახების მომრავლება. თუ განქორწინებების დონე, რაც შეიმჩნეოდა 70-იანის შუაწლებში შენარჩუნდება, ზანგი ბავშვების სამი მეხუთედისა და თეთრკანიანი ბავშვების ერთი მეექვსედის მშობლები განქორწინდებიან მანამ, სანამ მათ შვილებს 16 წელი შეუსრულდებათ. განქორწინებულ მეუღლეთა უმრავლესობა, ნათესავებთან ცხოვრებას, ცალკე ცხოვრებას ამჯობინებს, თუმცა ეს ადრე მიღებული არ იყო. უფრო ხშირად ბავშვები დედებთან რჩებიან. ამიტომ მკვეთრად გაიზარდა ოჯახების რაოდენობა რომელთაც ქალი ხელმძღვანელობს.

ერთმშობლიანი ოჯახი ჩნდება მაშინაც, როდესაც ბუმი იბადება. ბოლო 15 წლის მანძილზე გაიზარდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. ასეთი ოჯახებისა და განქორწინებულთა ოჯახებისათვის ყველაზე სერიოზულია ეკონომიკური პრობლემები. მრავალ განქორწინებულ ქალს (მათ ითვლიან დაახლოებით 40%) უფლება აქვს რაღაც მატერიალურ დახმარებაზე ყოფილი მეუღლის მხრიდან, თუმცა ან არ ღებულობენ ან ღებულობენ არარეგულარულად (ბრენდვაიე, ბრაუნი, ფოქსი, 1974).

განქორწინებულთა ან საერთოდ გაუთხოვართა უმრავლესობა თავიანთი ოჯახების უზრუნველსაყოფად იძულებულია ეძებონ სამუშაო. ხშირად ისინი ახერხებენ დაბალანაზღაურებადი სამუშაოს მოძიებას. თუ მარტოხელა დედას შეუძლია იმედი ქონდეს მხოლოდ შვილის სარჩენ დახმარებაზე, ის ცხოვრობს სიღარიბის ზღვარზე ან მის მიღმა.

მარტოხელა მშობელისათვის ფულზე ფიქრი არაა ერთადერთი პრობლემა. საზოგადოებაში სადაც ქორწინებას დიდი ყურადღება ეთმობა, მარტოხელები ხშირად გრძნობენ თავს დამცირებულად. ბავშვის აღზრდაში სხვა ადამიანისაგან დახმარების გარეშე, მარტოხელა მშობლები საზოგადოებისაგან მოწყვეტილად გრძნობენ თავს და მათზე დაკისრებულ ვალდებულებას შეუძლებლად თვლიან (შორი, 1979). მაგრამ არსებობს დასაბუთებული მონაცემები, რომ ასეთ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები სულაც არ გრძნობენ თავს დაჩაგრულად. მრავალრიცხოვანი გამოკვლევები საშუალებას იძლევიან გავაკეთოთ დასკვნა, რომ ორივე მშობლის ან ერთ-ერთის არარსებობა თითქმის არ ახდენს გავლენას ბავშვის აღზრდაზე და მისი სოციალიზაციის პროცესზე. ეს არ ზემოქმედებს მათ სქესობრივ თვითშეგნებაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ მიღწევებსა და ოჯახსა და ქორწინებასთან დამოკიდებულებაზე. მართლაც, არასრულწლოვანი დამნაშავეები უფრო ხშირად იზრდებიან ორსავე მშობელთან ერთად, არცთუ ბედნიერ ოჯახში, ვიდრე მარტოხელა მშობლის მიერ შექმნილ ნორმალურ ვითარებაში (იქვე).

თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყვით, რომ მარტოხელამშობლიანი ოჯახები სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის. მაგრამ სოციალურ პოლიტიკაში მოღვაწეთა წინაშე დგება დილემა. მარტოხელა მშობლები ხშირად საჭიროებენ მატერიალურ დახმარებასა და სახვადასხვა რჩევებს საზოგადოების მხრიდან. ჰუმანურობის პრინციპების შესაბამისად მარტოხელათა ოჯახები უნდა ღებულობდნენ მათთვის საჭირო მხარდაჭერას. მაგრამ, მარტოხელათათვის ნამეტანი კომფორტული პირობების შექმნა, მათთვის ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ტვირთის შემსუბუქებამ შეიძლება ხელი შეუწყოს

განქორწინებების კიდევ მეტად მომრავლებასა და მეორეჯერ ქორწინებების შემცირებას. ეს არ აწყობთ სოციალური პოლიტიკის წარმმართველებს.

ოჯახის ალტერნატივები.

ერთმშობლიანი ოჯახი არსებითი გადახრაა ტრადიციული ორმშობლიანი ოჯახისაგან, მას მნიშვნელოვანწილად აქვს პრეტენზია ამ უკანასკნელის სრულ მონოპოლიაზე. მაგრამ უკანასკნელ წლებში თავი იჩინა ოჯახური ცხოვრების სხვა ალტერნატივებმა. მათ შორის ძირითადია, ერთობლივი ცხოვრება ქორწინების გარეშე და კომუნების შექმნა.

ერთობლივი ცხოვრება.

უკანასკნელ წლებში ძალზე გაიზარდა ჰეტეროსექსუალური წყვილების რიცხვი, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, მაგრამ არა აქვთ სექსუალური კავშირები. 1970 წ-დან 1981 წ-მდე მათი რაოდენობა გაიზარდა 523000-დან 1808000-მდე, ე.ი. გაიზარდა 246%-ით (U.შ. Bურეაუ ოფ ტჰე ჩენსუს, 1958).

ზოგიერთი არატრადიციული ოჯახები არ ეფუძნებიან სექსუალურ ურთიერთობებს, მაგალითად აქ იგულისხმება მოხუცი ქალბატონები, რომლებიც აქირავებენ ოთახებს კოლეჯის სტუდენტებზე, ან მოხუცი მამაკაცები, რომლებიც მომვლელებად ქირაობენ მედეებს, რომლებიც მათთან ცხოვრობენ სახლში. გარდა ამისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუმცა ასეთი თანაცხოვრების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, ისინი შეადგენენ აშშ ოჯახების მხოლოდ 2%-ს.

არადაქორწინებულ წყვილთა უმრავლესობას შვილება არ ყავს. მაგრამ ისინი არად აგდებენ ოჯახების მონოპოლიას და თავად ცდილობენ დაარეგულირონ ინტიმური კავშირები ზრდასრულ ადამიანებს შორის. მსახიობ ლი მარტინისა და სხვა ცნობილი ადამიანების სასამართლო სარჩელი, იქცა პრეცედენტად იმისა, რომ ქალებს, რომლებიც შეწყვეტენ ასეთ კავშირებს შეუძლიათ მოითხოვონ თავისებური „ალიმენტი“. მაგრამ პრეცედენტს ვერ ჩავთვლით გარანტიად. ცხადია, რომ პარტნიორს და, ალბათ, მათ შვილებს, დაშლის შემთხვევაში ნაკლები იურიდიული უფლებები აქვთ, ვიდრე დაქორწინებულ წყვილებს.

დაუქორწინებელი წყვილები ბევრად გვანან დაქორწინებულ მეუღლეებს. მაგალითად, მიღებულია მონაცემები, რომ ასეთ პარტნიორებს აქვთ ღირებულებები, შეხედულებები და მიზნები, რაც ჩვეულებრივ საოჯახო წყვილებს ახასიათებს. მაგრამ, როგორც წესი, ისინი ნაკლებად რელიგიურნი არიან, იშვიათად დადიან ეკლესიაში, ვიდრე კანონიერი ცოლ - ქმარი.

ცხოვრება კომუნაში.

კომუნის შექმნის ტენდენცია ჩაისახა 60-იან წლებში, როგორც არსებული სოციალურ წყობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი. ადამიანები, რომლებმაც კომუნალური ცხოვრება აირჩია თვლიან, რომ ტრადიციული ოჯახი არამდგრადი და არაეფექტურია. ზოგიერთმა კომუნებმა დაისახა რელიგიური და სხვა უტოპიური მიზნები. კომუნის უმრავლესობებში ცხოვრობდნენ ბევრი ასაკოვანი ადამიანები; ზოგიერთები დაქორწინებულებიც იყვნენ. უფროსებთან ერთად ცხოვრობდნენ მათი ბავშვებიც. მაგრამ კომუნის ცხოვრებაში ქორწინება და სისხლითნათესაური კავშირები მეორეხარისხოვან როლებს ასრულებენ.

კომუნის, როგორც იდეოლოგიური პროტესტის ფორმის ტენდენციამ 70-იან წლებში დაიწყო შესუსტება და დღეისათვის უკვე აღარ ითვლება სასიცოცხლო მოთხოვნილებად (ზაბლოკი,

1980). მიუხედავად ამისა 70-იან წლებში გრძელდებოდა კომუნალური კავშირების ზრდა, მაგრამ უკვე იქმნებოდნენ არა იდეოლოგიური პრინციპებით, არამედ პრაქტიკული მოსაზრებებით. მაგალითად, კომუნებში ადამიანებს აქვთ ეკონომიკური თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობები, ვიდრე ნუკლეარურ ოჯახებში (უაიტჰერსტი, 1981).

მას მერეც, რაც კომუნებმა დაკარგეს დამახასიათებელი იდეოლოგიური ენთუზიაზმი, მათ კვლავ უერთდებიან ახალი წევრები - ძირითადად ის ადამიანები, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ ოჯახური ცხოვრება. შედეგად, 1972 წელს დეტროიტში ჩატარებული 31 საქალაქო კომუნის გამოკვლევით, შტეინმა, პოლკმა და პოლკმა დაადგინეს, რომ, კომუნართა თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ემოციურ მხარდაჭერას ადამიანები ეძებდნენ კომუნებში და არა ოჯახში. გარდა ამისა, კომუნის წევრები უფრო ხილდებოდნენ მატერიალურ საშუალებებს, რაც თანაბრად ნაწილდებოდა, აქ ქალები ნაკლებად განიცდიდნენ მამაკაცების გავლენას. გამოკვლევამ ისიც აჩვენა, რომ კომუნებში ქალები ეწეოდნენ ტრადიციულ საქმიანობას \_ ალაგებდნენ იქაურობას, ამზადებდნენ საჭმელს. მამაკაცებს, როგორც წესი, „მამაკაციური“ საქმეები ქონდათ \_ მუშაობდნენ ბოსტანში, აწესრიგებდნენ საოჯახო ნივთებსა და ველოსიპედებს. ზოგიერთი სოციოლოგი მსგავსებას ხედავს კომუნებსა და დაბალი კლასების გაფართოებულ ოჯახებს შორის (ბერგერი, ხეკეტი, მილერი, 1972). როგორც მუშათა ოჯახებში, ყმაწვილებს მისაბამად ბევრი მაგალითები აქვთ ქალებსა და კაცებს შორის, მათ ხშირად რამდენიმე ადამიანი პატრონობს, უწევენ მშობლების მაგივრობას (ბერგერი, 1972). კომუნის წევრთა შორის წუწუნი ისმის დაბალი კლასების წარმომადგენელთა მხრიდან: საუბრობენ ეკონომიკურ პრობლემებზე, განმარტოების შეუძლებლობაზე, გარე სამყაროსთან კავშირის არარსებობაზე და უთანასწორობაზე შრომით საქმიანობაში (შტეინი, 1975).

ბოლოს, კომუნებში, სადაც მიღებულია საკუთარი გრძნობების გულახდილად გამოხატვა და ყოველგვარი ცერემონიები გამორიცხულია, მამები ხშირად ტოვებენ ცოლებსა და შვილებს. შედეგად იზრდება მარტოხელა დედების რიცხვი, რაც ასევე ახასიათებს დაბალი კლასის წარმომადგენლებს. როგორც დაბალი კლასის ქალები, კომუნის მარტოხელა ქალებიც იმედოვნებენ, რომ ირგვლივ მყოფთა შორის ჰპოვებენ სიყვარულსა და მხარდაჭერას.

#### საოჯახო პოლიტიკა.

ამ თავში ვნახეთ ოჯახსა და ოჯახურ ცხოვრებაში ახალ-ახალი ცვლილებები; მრავალი დამკვირვებელი მათ განიხილავს, როგორც სოციალურ პრობლემებს, რომლებიც არ უნდა დარჩნენ საზოგადოების ყურადღების მიღმა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრობლემები:

1. ქორწინებათა შემცირება;
2. განქორწინებათა და ცალ-ცალკე მცხოვრებ მეუღლეთა ზრდა;
3. ქორწინების გარეშე თანამცხოვრებ წყვილთა რაოდენობის ზრდა;
4. ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვთა რაოდენობრივი ზრდა;
5. ერთმშობლიანი ოჯახების, ძირითადად მარტოხელა დედის რაოდენობის ზრდა;
6. შობადობისა და ოჯახის დაპატარავება;

7. ცვლილებები ოჯახური მოვალეობების განაწილებაში, რაც გამოწვეულია ქალების მასობრივი ჩართვით შრომით საქმიანობაში; ორივე მშობლის მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში.

განგაშს იწვევს ის გარემოება, რომ ეს ცვლილებები არათანაბრად მიმდინარეობენ; ყველა ამ პრობლემამა ერთად შექმნა ცოდნის ახალი სფერო „საოჯახო პოლიტიკა“ (კამერმანი, კანი, 1978). ეს ტერმინი ეხება სოციალური პოლიტიკის ყველა მხარეს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებენ ოჯახის ზომაზე, მის მდგრადობაზე, ჯანმრთელობაზე, შემოსავალზე და ა.შ. ჰემმარიტმა ინტერესმა საოჯახო პოლიტიკის მიმართ თავი იჩინა 1973 წელს.

სწორედ მაშინ მიმდინარეობდა ექსპერტთა სხდომა სენატორ უოლტერ მონფეილის თავმჯდომარეობით. აქ ხაზი გაესვა ოჯახის მნიშვნელობას ამერიკული საზოგადოებისათვის და ზემოთ განხილული პრობლემების გათვალისწინებით, გამოითქვა ვარაუდი მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. მრავალი ექსპერტთაგანი არაორაზროვნად მოუწოდებდა „ეროვნული საოჯახო პოლიტიკის“ გატარებისაკენ.

ევროპის მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით აშშ არ არსებობს ნათლად გამოკვეთილი საოჯახო პოლიტიკა. უფრო ზუსტად ის ძალზე სუსტ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და მას ანხორციელებენ ერთმანეთთან სრულებით დაუკავშირებელი ორგანიზაციები. იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ასე თუ ისე გავლენას ახდენენ ოჯახზე, უნდა აღინიშნოს გადასახადი, დახმარებები ოჯახებისადმი, ბავშვებისადმი დახმარებები, სახელმწიფოებრივი მცდელობა დაბალფასიანი ბინებით ოჯახების უზრუნველსაყოფად, მომსახურება ოჯახების დაგეგმარების საკითხებში. მნელია იმის თქმა, გატარდება თუ არა როდისმე აშშ ეროვნული საოჯახო პოლიტიკა.. მაგრამ ადვილად პროგნოზირებადია, რომ მიმდინარე ცვლილებების გამო, ალბათ, თავს იჩენს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის პრობლემა და კვლავ ექნება ადგილი მოთხოვნებს ჩაერიოს სახელმწიფო.

ამერიკული ოჯახის მომავალი.

რა მნიშვნელობა აქვს ოჯახური ცხოვრების იმ ცვლილებებს, რომლებიც ამ თავში განვიხილეთ? ამ კითხვაზე არ არსებობს ზუსტი პასუხი. ზოგიერთი მიმომხილველის თვალსაზრისით, ეს ცვლილებები „დაღუპვას“ მოასწავებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ოჯახმა მიაღწია ფუნდამენტური ნგრევის ეტაპს, და ეს პროცესი შეუქცევადია. ხვალინდელი დღის ადამიანებზე დამღუპველი გავლენა ექნება იმ პირობებს, რომელიც მათ ბავშვობაში ქონდათ.

ოპტიმისტებს საპირისპირო თვალსაზრისი აქვთ. ისინი პოზიტიურად მიიჩნევენ ნუკლეარული ოჯახის რღვევას. სიხარულით ელოდებიან ოჯახის ახალი ფორმების გაჩენას, რომელიც უზრუნველყოფს უფრო კეთილი გარემოს შექმნასა და ოჯახის ყველა წევრის თვითგამოვლენას.

არსებობს მრავალი წინასწარმეტყველური ვარაუდი ოჯახის მომავლის შესახებ. მაგალითად, ედვარდ კორნიში (1979) აღნიშნავს შვიდი ტენდენცის შესაძლებლობას ოჯახის მომავლის განვითარებაში. მათ შორისაა თანამედროვე ოჯახის შენარჩუნება; ტრადიციული ოჯახისაკენ დაბრუნება; ოჯახის განადგურება; ოჯახის აღორძინება (კომპიუტერებით გაცნობის სრულყოფის გზით, კონსულტაციების მიღებით და ა.შ.) და საერთო ინტერესებსა და მოთხოვნებზე დაფუძნებული „არანამდვილი“ ოჯახების შექმნა.



ის რაც სინამდვილეში მოხდება, ალბათ, არ დაემგვანება ზემოთჩამოთვლილს. მეორე მხრივ, ოჯახს ახასიათებს მდგრადობა და მოქნილობა. „დალუპვის“ წინასწარმეტყველება უფრო განგაშის მაჩვენებელია და არა რეალური სიტუაცია. ბოლოს და ბოლოს არ შეიმჩნევა ოჯახის სრული დალუპვის ნიშნები.

ამავე დროს ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ ტრადიციული ოჯახი წარსულს ბარდება. ამერიკულ ოჯახზე გავლენა აქვს ისეთ ძლიერ და მდგრად ძალებს, რომ ტრადიციული ოჯახის აღორძინება ძნელად დასაჯერებელია. როგორც ვნახეთ ამერიკული ოჯახის ისტორიას თან სდევს საკუთარი ფუნქციების პერმანენტული კლება. თანამედროვე ტენდენციები მიუთითებენ, რომ ამერიკული ოჯახის მონოპოლია უფროსებს შორის ინტიმურ ურთიერთობების რეგულირებაზე, ბავშვების გაჩენასა და მათ აღზრდაზე შენარჩუნებული იქნება მომავალშიც.

მაგრამ ადგილი ექნება ამ შედარებით მდგრადი ფუნქციების ნაწილობრივ ცვლასაც. ოჯახისათვის დამახასიათებელი კვლავწარმოების ფუნქცია განხორციელდება გაუთხოვარი ქალების მიერაც. ოჯახის მიერ შესასრულებელი სოციალიზაციის ფუნქცია უმეტესწილად გადანაწილდება ოჯახსა და უცხო ადამიანებს შორის (ბავშვების მოვლის ცენტრებსა და სათამაშო ჯგუფების აღმზრდელებს შორის). მეგობრული დამოკიდებულება და ემოციური მხარდაჭერა შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ოჯახში. ამგვარად, ოჯახი დაიკავებს თავის ადგილს სხვა სოციალურ სტრუქტურებს შორის, სადაც ხორციელდება კვლავწარმოება, სოციალიზაცია და ინტიმური ურთიერთობები. რამდენადაც ოჯახის ფუნქციების რღვევა გაგრძელდება, ის როდისმე დაკარგავს თავის სიწმინდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გაქრება ამერიკული საზოგადოებიდან.

მოკლე შინაარსი.

1). ოჯახი ეწოდება ადამიანთა სისხლითნათესაურ, ქორწინებასა და შვილის აყვანაზე დაფუძნებულ ერთობას, დაკავშირებულს ყოფის ერთობასა და შვილის აღზრდის პასუხისმგებლობაზე; ოჯახის წევრები ხშირად ერთ სახლში ცხოვრობენ. აშშ-ში ამ განსაზღვრებაში მრავალი წყობა იგულისხმება. დასავლეთ ირლანდიის გლეხური ოჯახების, განსაკუთრებით ტრობრიანდულ კუნძულებზე და ისრაელის კიბუცებში ოჯახური ცხოვრების გამოკვლევები მოწმობენ, რომ ერთ საზოგადოებაში ნორმად მიჩნეული ტრადიციები, სხვა კულტურის ხალხებთან შეიძლება სულაც მიუღებელი იყოს.

2). სოციოლოგები და ანთროპოლოგები სხვადასხვა საზოგადოებების ოჯახურ სტრუქტურებს ერთმანეთს ადარებენ ექვსი პარამეტრის მიხედვით: ოჯახის ფორმა, ქორწინების ფორმა, ძალაუფლების განაწილების სახე, პარტნიორის შერჩევა, საცხოვრებელი ადგილი, და ასევე, მემკვიდრეობის მიღების წესი და წარმომავლობა.

3). ოჯახს აანალიზებენ ორი ძირითადი, ფუნქციონალიზმისა და კონფლიქტის თეორიის მიმართულებით. ფუნქციონალიზმის წარმომადგენლები ოჯახს აანალიზებენ იმ ფუნქციებისა და სოციალური მოთხოვნების თვალსაზრისით, რომელსაც ის ემსახურება. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ოჯახის ფუნქციების ცვლილებები დაკავშირებულია მისი, როგორც კოოპერატიული შრომითი გაერთიანების რღვევასთან, აგრეთვე ოჯახის სტატუსის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვასთან. ოჯახის ძირითად ფუნქციებში უნდა აღინიშნოს შვილების სოციალიზაციის ფუნქცია, თუმცა ამ საქმეში სხვა ჯგუფებიც მონაწილეობენ. სამრეწველო საზოგადოებისა და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს

აღმოცენებისა და განვითარების კვალობაზე, ძირფესვიანად შეიცვალა ოჯახის, როგორც მისი წევრების კეთილდღეობის უზრუნველყოფელის ფუნქცია.

4). კონფლიქტის თეორიის მომხრენი მთავარ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახის შიგნით ძალაუფლების განაწილებას; გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ოჯახის წევრებს, რომლებიც მეტად ფლობენ მატერიალურ სიმდიდრეს, მეტი უფლებები აქვთ. მარქსისა და ენგელსის თანახმად, სამრეწველო რევოლუციის გავლენით ოჯახი გადაიქცა ფულად ურთიერთობათა ერთობლიობად. ამ კონცეპციის თანამედროვე ვარიანტის თანახმად, ოჯახი არის ეკონომიკური წარმოებისა და მატერიალური საშუალებების განაწილების ადგილი; ამასთანავე, ინტერესების კონფლიქტები ჩნდება ოჯახის ყოველ წევრსა და სხვა წევრებს შორის, ასევე მთლიანად საზოგადოებასთან.

5). ამერიკაში მეუღლე წყვილთა უმრავლესობისათვის ახალი ოჯახის შექმნა იწყება რომანტიკული სიყვარულით, რაც წარმოადგენს ქორწინების საფუძველს. ამერიკაში შეიმჩნევა ქორწინებების ყველაზე მაღალი დონე მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებს შორის, მაგრამ პირველად დაქორწინებულ წყვილთა საშუალო ასაკი ჩვეულებრივ მერყეობს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენით. ენდოგამიისა და ეგზოგამიის წესები ყოველი საზოგადოებისათვის ზღუდავენ პარტნიორის შერჩევის პროცესს. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მრწამსი, რასობრივი სხვაობა, სოციალური კლასი და განათლების დონე, განსაზღვრავენ ჯგუფებს, რომლის საზღვრებშიც ანიჭებს ინდივიდი უპირატესობას ცხოვრების მეგზურის შერჩევას.

6). აშშ განქორწინებების ყველაზე მაღალი დონეა მთელს მსოფლიოში. XIX საუკუნის შუაწლებიდან დაწყებული ეს მაჩვენებელი ყოველთვის იზრდებოდა, განსაკუთრებით მკვეთრად აიწია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1965\_1970 წლებში. განქორწინებებზე განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. სუსტი სქესის დამოუკიდებლობის ზრდამ, ალბათ, ასევე შეუწყო ხელი იმ წყვილთა რაოდენობის ზრდას, რომლებსაც განქორწინება მიაჩნიათ ოჯახებში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის საშუალებად.

7). ამერიკულ ოჯახზე გავლენის მქონე სოციალურ ცვლილებებს შორის უნდა აღინიშნოს იმ ოჯახების რაოდენობის ზრდა, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს. სტრესული სიტუაციები, რომლებიც თავს იჩენენ, როდესაც ადამიანი ცდილობს ერთდროულად გადაჭრას სახლისა და სამსახურის მოვალეობები, იწოდებიან გადატვირთულობისა და იდენტურობის დილემად. თუმცა ორივე მეუღლის მუშაობა თანდათანობით ვრცელდება, შრომის დანაწილება (ოჯახური საქმიანობის ჩათვლით) სქესობრივი განსხვავებულობის მიხედვით დამკვიდრდა ამერიკელთა ცხოვრებაში.

8). განქორწინებას მშობლებიც და შვილებიც ღრმად განიცდიან, მათ ეუფლებათ განგაში, გაღიზიანება, მარტოობის შიში. განქორწინებების რიცხვის ზრდის გამო, გაიზარდა ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობა, უმეტესწილად ქალების ხელმძღვანელობით. განქორწინებული ქალისა და საერთოდ გაუთხოვარი ბავშვიანი ქალისათვის, როგორც ეტყობა, ყველაზე ძნელია ეკონომიკური პრობლემა. სხვა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში, სადაც დიდად აფასებენ ქორწინებას, მარტოხელა ადამიანები თავს დამცირებულად გრძნობენ.

9). ტრადიციული ოჯახის სხვა ორი ალტერნატივაა \_ ერთობლივი ცხოვრება ქორწინების გარეშე და ცხოვრება კომუნაში. ქორწინების გარეშე წყვილთა უმრავლესობას შვილები არ ყავს.

ასეთ პარტნიორებს ნაკლები კანონიერი უფლებები აქვთ, ვიდრე დაქორწინებულ წყვილებს. კომუნის შექმნის ტენდენციებმა, როგორც პროტესტის ფორმამ არსებული სოციალური წყობის წინააღმდეგ პირველად თავი იჩინა 60-იან წლებში. შემდეგ კომუნები იქმნებოდა უფრო პრაქტიკული მოსაზრებებით, მაგალითად ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით. ზოგიერთი მკვლევარი დიდ მსგავსებას ხედავს კომუნებსა და დაბალი კლასების გაფართოებულ ოჯახებს შორის.

10). მეცნიერების ახალი სფერო სახელწოდებით „საოჯახო პოლიტიკა“ გაჩნდა ოჯახის ინსტიტუტის იმ ცვლილებების გამო, რომელთაც განიხილავენ, როგორც სოციალურ პრობლემებს. მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით აშშ არაა საოჯახო პოლიტიკა. ოჯახის მდგომარეობაზე გავლენის მქონე პოლიტიკური ზომებიდან უნდა აღინიშნოს ბავშვების დასახმარებლად შემოღებული საშემოსავლო გადასახადი, დახმარებები მშობლების კმაყოფაზე მყოფი ბავშვებისათვის, ბავშვიანი ოჯახების უზრუნველყოფა იაფფასიანი ბინებით და სოციალური მომსახურებით.

11). ტრადიციული ოჯახის აღორძინებას თვალი არ უჩანს, მაგრამ არც სრული განადგურების ნიშნები შეიმჩნევა. ოჯახის შენარჩუნებული ფუნქციების რღვევა გაგრძელდება.